



ფასი 16 მანეთი  
გეორგიანული  
ენციკლოპედია

# სსსპრება და ხელოვნება

№ 3 კვირეული ჟურნალი. 1910 წ. 26 დეკ. № 3



ლ. მ. სპ.

თბილისი  
საქართველო  
1910

წამადა ოჯახი (ლეონარდო და ვინჩისა)



ი. ზარდალიშვილი.

სუთშხასთ 30 დეკემბერს 1910 წ. ქართულ თეატრში ბენუფისი ი. ზარდალიშვილსა.  
წარმოდგენილი იქნება 5 მოქ. დრამა მეირ-ფერსტერისა

„მემკვიდრე პრინცი“

პრინცის როლს შეასრულებს თვით მობენუფისე. მონაწილეობას იღებს ვლ. მეს-  
ხიშვილი და მთელი დასი. ფასები საბენეფისოა.  
დასწავლი სადამოს 8 სსათსე. რეჟისორი ვ. შალიკაშვილი.

გიიღება ხელის მოწერა

ყოველ კვირეულ ჟურნალზე (გამოდის 12 დეკემბრიდან).

ცხოვრება და ხელოვნება

ფასი: წლიურად 5 მან. ნახევარი წლით 2 მან. 50 კ. ცალკე ნომერი 10 კ.  
ფულის შემოტანა შემძლება ნაწილ-ნაწილად, არა ნაკლებ ათი შაურისა. რედაქ-  
ციამ მიმართა ყველა ქართველ მწერლებს, მეცნიერთ და მხატვარ-ხელოვანთ თა-  
ნაშრომის მიღებისათვის. — გასუფილებათა რედაქტორები.

- პუბლიცისტიკა ფ. გოგინაშვილი.
- სიტყვა-კაზმული მწერლობა შ. ანა-  
გვისპირელი.  
(ბელეტრისტიკა.)
- სიტყვა-წყობილი მწერლობა კ. შაყაშვილი.  
(პოეზია)
- პედაგოგიკა ალ. მდივანი.
- მხატვრობა და ქანდაკება ი. ნიკოლაძე.
- ისტორია ს. კაკაბაძე.

- მედიცინა ვ. დამბაშიძე.
- მუსიკა ზ. ფაღიაშვილი.
- დრამა ვ. შალიკაშვილი.
- სასცენო ხელოვნება ვ. მესხიშვილი.
- კრიტიკა და ბიბლიოგრ. ი. ვართაგვა.
- ბუნების მეტყველება ს. იაშვილი.
- მიმოხილვა ვ. გუნია.

რედაქტორ-გამომცემელი ნ. ლორთქიფანიძე

პირველ ნომრიდან დაიწყო ბეჭედა „როსტომიანისა“ (ფირდუსის შჰჰანესი)  
და შ. დადიანის დრამის „მღვიმეში“.

რედაქცია. თფილისი, სათავად-ახნაურო ქარვასლა თეატრის გვერდზედ,  
ტელეფონი № 862. ხელის მოწერა მიიღება აგრეთვე თეატრის კასაში; წერა-კით-  
ხვის გამაჟრცელებელ საზოგადოებაში; გოლოვინის პროსპექტზე ი. კიკნაძის წიგ-  
ნის მაღაზიაში „Новая Рѣчь“.

Адресъ: Тифлисъ, Дворянская, д. дворянства, рядомъ съ театромъ. Редакция  
„Цховреба да Хеловნება“ რედაქცია ღიაა — 10—3 ს.



# სსოპრებუა და ხელოვნებუა

**შინაარსი:** სსოპრე მინიატიურები ნ. ლორთქიფანიძე, შობა ი. მჭედლი-  
შვილისა. მსტერას საიდუმლოება, გ. უბედურა. შობაღაური სურათები, დუტუ  
მეგრელი. ნილასის ძღვები, დ. კილოსანიძე. საფლაფე, ა. შანშიაშვილისა.  
ბრეტინიული სსხაბნა ზოქია, . სარაჯიშვილისა. სადგილ-მამულა ზოქიტკა  
ქადაქეში, ბ. ა—ნი. დრამატიული ზოქია, ი. ვართაგავა. კვირიდან კვირამდე, გ.  
ახალციხელი. მღვიმეში, შ. დადიანი. როსტომიანი, კაკაბაძისა. ასცილდი სს-  
ფარს, ი. გრიშაშვილისა.

შემდეგ ნომერში დაიბეჭდება ი. პეხეცკას ლექცია „მეტიკვილება“

## საშობაო მინიატიურები

ნ. ლორთქიფანიძე

იქ, სადღაც შორს, ბეთლემში, ცხრამეტი საუკუნის წინათ, ცა მოქედლო და-  
მეს მღვიმეში დაიბადა იესო, ძე ქალწულის მარიამისა, მაშვრალთა იმედი და ნუ-  
გეში, ტანჯვის შემამსუბუქებელი, სიკვდილითა სიკვდილის დამთრგუნველი...

აქ კი... დღეს...

### I

#### სარამცელზე

ნუ გეშინია, შვილო — ექიმმა სთქვა ყველაფერი აჭამეთ, რაც კი მოისურვოსო.  
პირში მაინც გამოივლე შაქრის ყინული... ტკბილია... ვიამება. აი ამ ანგელოზის  
ქანდაკებას მოკიდე ხელი... მთელ ქალაქში ერთი იყო და შენ მოგიტანე. ნუ  
გეშინია, შვილო, დამშვიდდი: აი ასე, ასე ამოისუნთქე... გაგივლის. ეხლა  
უმწვერვალესი წუთია ავათმყოფობისა აი ეხლავ დაგიკლებს სიცხე...

ბავშვის პატარა ხელებს მოხვდა ცივი მარმალილოს ქანდაკება; იამა, გახურე-  
ბულ მკერდზე მიიკრა და გაყუჩდა ბავშვი. დედა კი ნელა უსვამდა ხელს ოფლიანს  
შუბლზე, უსწორებდა გაჩეხილ თმას, მერმე ჩაეკეცა და მიითვლიმა.

ავონდება ქალს პირველი ამბორი — განა ეს გარდაქმნა არ იყო.

ავონდება ქალს, როგორ დაიძრა სხეულში, ახალი ადამიანი.

ავონდება ქალს, როგორ ტანჯვათა შორის ქვეყნად იშვა მისი ბიჭი.

ეხლა კი, ამ შობის დამეს, როგორ წაართმევს დმერთი?!

ბავშვს კი გულში მაგრა ჩაუკრავს ანგელოზის ქანდაკება, სუნთქვა უსუსტდე-  
ბა და ნელ-ნელა ახალ ცხოვრებას იწყებს.

### II

#### სამართველო იქიღება.

იყიდება საქართველო. მინდორ-ველით; მთა-გორით, ტყით, ვენახით, სათე-  
სით; წარსულის ისტორიით, მომავალი სვე-ბედით; მშვენიერის ენით; ნაქარგი

34

ფარჩა-ხავერდით; ვაჟკაცურის ხასიათით, სტუმართ-მოყვარეობით; დიდებული სანახაობით, წმინდა ჰაერით; ნაამაგვევი სახლით და კარით; ჩუქურთმის ტრეზორებით და ეკლესიებით; მჩქეფარე ნაკადულებით; ლურჯის ზღვით; მოწმენდილ-მოკაშკაშებული ცით; ერთი, ბერთ; თვალწამრტაც ბანოვანთა გუნდებით; გონება-გახსნილ ვაჟებით; მალხაზი ბავშვებით; ვერცხლის ფერ თმით შემოსილ პათისადებ მოხუცებით; იყიდება საქართველო დედით და მამით, შვილით და ძირით, ძმით, დით, ცოლით და ნათესავ-მოყვრებით.

ჰყიდის ყველა: გლეხი და თავადი, მღვდელი და ვაჭარი, მუშა და ავაზაკი, დიდი და პატარა, ჭკვიანი და სულელი, ლოთი და პირაკრული.

იყიდება ყველგან: ქუჩაში და სახლში, თეატრში და სასამართლოში, სასწავლებელში, სატუსალოში, ეტლში, მატარებელში, დილით და ღამით, სიცხეში და სიცივეში, დარში და ავდარში.

იყიდება ერთიანათ: შავის ზღვიდან კასპიის ზღვამდე და ოსეთიდან სპარსეთამდე. იყიდება ნაწილ-ნაწილ: კახეთი და იმერეთი, ქართლი, სვანეთი და სამეგრელო, გურია და ლეჩხუმი, რაჭა და ჯავახეთი. იყიდება პატარ-პატარა ნაჭრებათ, ვისაც რამდენი სურს და როგორც უნდა: ნისიათ, უფასოთ, ნაღდათ, დროებით და სამუდამოთ; ბანკის საშუალებით, და ჩვენის დახმარებით.

იყიდეთ ბარემ მთლად, გაწეწეთ და გაგლიჯეთ, რასაც საქართველო ერქვა და რაც დღეს ოხრად დარჩენილი აძლებს ყორნებს და გულს უკლავს უძლურ ქირისუფალს!

### III

#### ბ რ მ ა თ ე რ ძ ი .

ხელის ფათურით მონახა ლევანა თერძმა კარების გასაღები, შეჩერდა, რაღაც გადაწყვიტა და კარები გააღო. სუფთა, ცივმა ქუჩის ჰაერმა, თითქოს შიშით დაიხია უკან და გზა მისცა შმორის და ოფლის სუნით გამსჭვალულს ოთახის ჰაერს.

— ქალო, გზა გამიკვლიე, ვერას ვხედავ!...

— ჩუუ!.... იმავე წამს უპასუხა ვიღამაც; მოიტა ხელი; აბა, ფეხ-აკრეფით. ბავშვები, როგორც იქნა დავაძინე. — ფუჩუნით ეუბნებოდა დამხდომი ეცადე ლოგინის კიდევ მოეთავსო, ბავშვები კედლისკენ დავაწვინე.


— სუფრასთან მიმიყვანე: რომ გაიღვიძონ რალა ვქნათ—არაფერი მომიტანია, ქალო!

— რატომ? ყრუდ ჩაეკითხა ქალი.

— რატომ? რატომ? რატომ და თვალი აღარ სჭრის; ჩემი გავლებული გვირისტი სულ დასარღვევი გაუხდათ. დუგმები უკულმა დავაკრე. გამლანძღეს, გამათრიეს და ისე გამომიშვეს... სამართლიანადაც. რათ ჩავიდგი შენს ცოდვაში ფეხი. რათ მოვიკიდე მისუსტებულ ზურგზე სამი ადამიანის სვე-ბედი. მთლად დავბრმავდებოდე მაინც... თავშესაფარში მიმიღებდნენ...

— არაფერია, კაცო, ნუ გმობ ღმერთს...

— არ ვგმობ—პირ იქით თავიანთს ვსცემ მის კანონს... ღირსი ვარ, მე ყველაფრის ღირსი ვარ, მაგრამ თქვენ... თქვენ?! ხვალ ძაღლებიც კი ხორციით გაძლებიან: ზოგს გადუგდებენ, ზოგიც მოიტაცებს... თქვენ კი? ნაცრიანი მჭადი მაინც გქონდესთ.



— დედა, მოვიდა მამა?... კნაეის მისუსტებული ხმა ბავშვის...  
ბრმა თერძის ავთამყოფ თვალებს სწვავს ცრემლები...

იქ, სადღაც შორს, ბეთლემში, ცხრამეტა საუკუნის წინათ ცა-მოკედლილ ლა-  
მეს დაიბადა იესო, ძე ქალწულის მარიამისა, მაშვრალთა იმედი და ნუგეში, ტან-  
ჯვის შემსუბუქებელი სიკვდილითა, სიკვდილის დამთრგუნველი...  
აქ კი .. დღეს...



რაფაელი, სიქსტის მადონა.

### ქრისტეს შობა

ი. მჭედლიშვილი.

შუქი გადმოდგა მთვარისა  
კისერ მოღერილ მთიდანა,  
მარგალიტები გამოსხდა  
ლამისა შავი თმიდანა.

სიომ აკოცა ყვავილებს,  
გალობა ისმის ციდანა:  
„სინათლე უკვდავებისა  
ყველამ მიიღეთ ღვთიდანა“.

## ასცილდი საზღვარს...

(გუძღვნი ოლ. ლეჟავას.)

### ი. გრიშაშვილი.

ასცილდი საზღვარს, მოსწყდი სევდის მთებს,  
ზეცას აგაფრენ—დაეყრდნე ჩემს ფრთებს.

მსურს ზღვის ფერიად, ღმერთად გიწამო,  
მსურს ვეამბორო შენს ფერხთ, შენს კალთებს...  
წამომყევ... წამო!..

\* \* \*

სულში ჩავიქსოვ ვარსკვლავთა ციარს,  
სუნთქვით შევბოჭავ ღრუბელთა სრიალს,  
იცხოვრებ ჩემში... გეპკურვი მეც მტლად!..  
მენდე შენს მკობელს, მენდე შენს ტრფიალს,  
გარდაგქმნი სულ მთლად.

\* \* \*

ფრინველთ-ჟრიამულს, ჭიკჭიკ-ნავარდსა  
ჰანგად ავსტყორცნი ზესკნელს-ლაჟვარდსა  
და თუ ფრთებს მომკვეც, დამიზიანებ—  
გაფიცებ ზღვის ქაფს, გაფიცებ ვარდსა,  
შენ თვით ინანებ!..

\* \* \*

ასცილდი საზღვარს, მოსწყდი სევდის მთებს,  
ზეცას აგაფრენ—დაეყრდნე ჩემს ფრთებს...  
მსურს ზღვის ფერიად, ღმერთად გიწამო,  
მსურს ვეამბორო შენს ფერხთ, შენს კალთებს...  
წამომყევ... წამო!..

## მხატვრის საილუქლოება

ოლივი შრეინერი.

თარგმანი

### გ. უბედური.

მხატვარი სახეს ხატავდა. სხვა მხატვრებს ჰქონდათ უფრომდიდარი და ბრწყინავი საღებავები, და ისინი ხატავდენ უფრო შესანიშნავ სურათებს,—ეს მხატვარი კი ხატავდა ერთი და იგივე წითელი საღებავით და ამისი ნახატები იწვოდენ და ანათებდენ სიცოცხლით.

ხალხი აღტაცებაში მოყავდა ნახატს.

მოდიოდნენ სხვა მხატვრებიც და ამბობდენ:

— საიდან მოულობს ის თავის საღებავს?

ეკითხებოდნენ იმას, ის კი, ღიმილით უპასუხებდა მათ:

— არ შემიძლია მაგის თქმა,— და თავ-დახრილი განაგრძობდა მუშაობას.

მხატვრები ეძებდნენ ძველს რეცეპტებს, საღებავების შესამზადებლად, იწერდნენ აღმოსავლეთიდან საუკეთესო და იშვიათ საღებავებს, მაგრამ ყველანი იყვნენ, როგორც უსიცოცხლო და დაბნელებულნი.

ამასობაში კი, მხატვარი განაგრძობდა მუშაობას. მისი ნაწარმოებნი ხდებოდნენ უფრო ბრწყინავი სიცოცხლით, მხატვარი კი, ყვითლდებოდა და ყვითლდებოდა.

ერთხელ ის ნახეს გადაცვლილი თვის ნახატის წინ. გაიგეს თუ არა იმისი სიკვდილი, მხატვრები შეეცვინდნენ მის დაცარიელებულს სახელოსნოში, გადაჩხრიკეს ყველა ჭურჭლები, მაგრამ ვერ ნახეს ისეთი საღებავი, რომელიც მათ არ ჰქონდათ.

როდესაც გააძვრეს ტანზე საცხოვრებელი ტანისამოსი, რომ ჩაეცმიათ დასამარხი, მარცხენა მკედრს ზევით დაინახეს ჭრილობა.

ეს იყო ძველი ჭრილობა; ალბათ მთელს მის სიცოცხლეში ის გახსნილი იყო: ნაბირები დაძველებოდნენ და გამაგრებოდნენ, მაგრამ სიკვდილმა, რომელიც ყველათურზე თვის ბეჭედს აქდობს, მოიჭიმა და დაფარა ჭრილობა.

მხატვარი დასაფლავეს, ხალხი კი, განაგრძობდა კითხვას:

— საიდან მოულობდა ის თვის საღებავს?

მოხდა ისე, რომ მხატვარი მალე იქნა დავიწყებული, მისი ნაწარმოები კი, ცოცხალი დარჩა.

## მშობლიური სურათები.

(ვუძღვნი ალექსანდრე ხახანაშვილს)

დეტუ მეგრელი.

1

რაცა სევადა სამშობლასთვის,

უცხოეთში გადმოკარგულს,  
ჩვეულებრივ კვლავ მიზრვის  
და მიწამდავს სულსა და გულს;

არ მითვისებს უცხო ერი,

არც მიზიდავს უცხო მხარე,

უფასათა და ერთფერი,

უსიცოცხლო და მწუნარე, —

მაშინ ისევ ჩემს ოთახში,

მარტოდ-მარტო, ვაკეტები,

ოცნების ვცურავ ზღვაში,

მოგანებით ვხარობ, ვსტეპები

და, თითქმის დროს, არც სივრცეს,

ადარ ჰქონდესთ აწ საზღვრები,

სცვლიან ერთი მეორეს

მშობლიური სურათები!

ვხედავ სოფელს — ჩემს სამშობლას,

მშენიერსა ჩემს საუდარსა;

მიხდრის, დელეს და სამრეკლას,

ზედ, როგორც ხიდს, გადამდგანს;

ვხედავ გუმბათს, ოქროს ჯვარი

მზის სხივებზე რომ ბრჭყვრიადებს —

და შიშის მთელი ჯარი

თავზე სტეგნით დასცქვრიადებს;

ვხედავ ტურფა ან წლოფან ცაცხვს,

ცას რომ სწვდება მისი წვერი

და ათასს კაცს დაიფარავს

მის შტოთ ჩრდილი, განიერი;

ვხედავ კონტად ჩამწკრივებულს

სუნაკების მთელს წებას,

მონაზონთ გუნდს, ჩამსკებულს,

სადგინავად მათს მზადებს;  
 ვხედავ სკოლას, სოფლის სკოლას,  
 გამოძინრადს სსსმურად  
 და ბავშვების იქვე გრავას,  
 მორბენადას მხიარულად!

ოჰ! იყო დრო, ამ ტაძარში  
 მეც წრფელ გრძნობით ვლოცულობდი;  
 მეც ვსწავლობდი ამ სკოლაში  
 და ამ ცაცხვ ქვეშ ვთამაშობდი!..

2

ვხედავ, მოღვლეას რიონი,—  
 აზვირთებ-აღქაფებულას;  
 არ სჩანს ნაპირი, არც ფონი,  
 თითქმის ზღვად გადაქცეულას!

ვის შეუძლია, შეჭბედოს  
 ამ გაათრებულს მდინარეს?  
 ვის შეუძლია, გასცუროს  
 ახლას მის მეორე მხარეს?

მაგრამ ჩუ! რა ამბავია,  
 რას მიაქანებს ზღვა-წყალი?  
 ნუ თუ უბრალო ნავია  
 და საფრთხეშია სწყალი?

მერე რა ავსებულაია  
 ხალხით: დიდებით, ბავშვებით  
 და ეგვლას შიში უგრძნობა,  
 ცას შეჭურებენ ვადრებით!...

„ნუ გეშინიათ!“ გაისმა  
 უცებ ერთ-ერთის მენავის  
 სიმტკიცით სავსე, დინჯი ხმა  
 და ეგვლას რწმენა ესხვის:

სჯერათ, არ დაიტრახანებს,  
 სიტუვას ტყვილად არ დასცდება,—  
 ან და სძლევეს გმირი ამ ტაღლებს,  
 ან თვით, ზირველი, მოჭკვდება!

მართლაც გაიძრო სწრაფ ხმა...  
 წყალში... ებრძვის მდინარეს...  
 ებრძვის... ჰა, ფონი მონახა  
 და ხავს იქითკენ მათრევის...

სხვებიც შეედიან ზევიდან  
 სსჭით და ნინბით თანხმობით  
 და, აი, კიდევ ნაპირთან  
 მიაგდეს ნავი მშვიდობით!..

ოჰ, ბეჭვრჯერ მომაგონდება,

ვაჯვაცნო, თქვენი გმირობა,  
 მოძმისთვის თავის დადება,  
 სიმხნევე, უსგარობა!..

3

ვხედავ წაღკოტს, ტურთად შემკულს,  
 სოცნებოს, სანეტაროს,—  
 ვინ იქნება, რომ, აქ მოსულს,  
 გულს სევედა არ გაღვევროს?

ამ მშვენებით არ დატყვევდეს,  
 მას თავი არ მოუხაროს;  
 ბუნებას არ შეუერთდეს,  
 მასთან ერთად არ იხაროს?

ვხედავ კიდევ შეგროვილს  
 აგერ ტურთა ქალ-ვაჟთ კრებულს,  
 ერთ გრძნობადა გარდაქმნილს,  
 ერთის აზრით გატაცებულს,  
 გაუმართავთ რომ ფერხული  
 და მღერინ ტებელ სიმღერებს,—  
 ხელთან ხელი, სულთან სული  
 გადაუბამთ ბედნიერებს:

არ არსებობს ახლას მათთვის,  
 მწუნხარება, ზრუნვა, შრომა  
 და ეგვლასი ფიქრი არის  
 სინხარული და განცხრომა!..

ოჰ, რავდენჯერ მეც დაუმტკბარვარ,  
 მეგობრებო, თქვენის მზერით,  
 ადფრთფენებულ-მოვნიბლულვარ  
 თქვენის ცეკვით და სიმღერით!..

4.

ვხედავ ერთის მხრივ აჭარის მთებს  
 და მეორეს მხრივ თვით დიდ კავკასის,  
 თფულით და ღრუბლით დაფარულებს,  
 შემაერთებულთ მიწის და ცის!

იქ, შორს, ღურჯი ცაღურჯისავე ზღვასა,  
 ვით დედა შვილსა, გადხეგვას  
 და ორივესთვის მზესა, ჩამავლას,  
 სნივი გვირგვინად გაღურჭეგვას;

აქ, ახლას... მაგრამ სიტუვებით განა  
 აიწერება, დაინტება  
 ეს ხმელეთის თვალი ქვეყნსა,  
 ეს სამთისის მზგავის ბუნება?

სად შეხამებით ერთმანეთს სცვლიან  
 მინდვრებს გორები, გორებს ხეგები





და აგერ-ეგერ ციმციმებ-ჭკრთიან,  
ვით ვერცხლის ზოლნი, მდინარეები?..

ოჰ, ტურფა ველო, შენი მხსველი,  
რავდენჯერ სუფით ავმადლებუფვარ;  
მიამაყნია, რომ ვარ ქართველი;  
რომ შენს წიაღში დავბადებუფვარ!..

5

ვხედავ, სად ჩქარი ტეხური,  
შევიწრებულ-შეკრული,  
სტოვებს მთებს, კლდეებს, გორაკებს  
და თავისუფლად ივსებს,  
რომ უხსოვარის დროიდან  
განტქერის მძაღლ გორიდან  
ქვევით საუდარს და სოფელს  
და შორს გაშლილსა მინდორ-ვეფს  
ერთს დროს დიდებით მოსილი  
ქლავი, ყოვლით მკობილი,  
ახლა-კი... ნაქალაქევი,  
დიდებულ-და ნანგრევი!

ოჰ, საყვარელო ადგილო,  
ადუშალებით ადვნილო,  
რამდენჯერ გამომივლია  
შენკენ და ცრემლი მომსვლია.  
თან სიხარულის, თან სევდის,  
მომგონებელსა შენ ბედის,  
და შენ დიდებულ ასულის—  
შედიას ესდენ ტანჯულის!..

6

ჰნ, ვხედავ მასაც,  
თვით ხორც შესხმულ მშვენიერებს,  
შეერთებულსა

სიტურფეს და დიდებულს,  
ათასის წლისა

მრისხნებით გაუტყევი,  
რომ აღმართულია  
შავ დროთაგან დაუძლეველი,  
და თითქო ამბობს:

„ნუ ეცემი სუფით, ქართველო,—  
„არ შეიძლება,  
რომ არ აღდგეს კვლავ საქართველო:  
„, კვლავ არ გაცოცხლდეს  
ეს მიდამო, მიმკვლარებული;  
„, კვლავ არ განისმას  
აქ ხმა გმირთა, ხმა დიდებული!  
„, ამის თავდები  
თვით ყოფნა ჩემი ამ გვარი,  
„, რომ ვარ, ვით ძეკლად,  
ისეუ ისე მტკიცედა მდგარი,  
„, გულ გატეხილის  
ქართველ ერის მანრგეშებლად,  
„, მის წარსულისა  
და მომავლის შემაერთებლად!..

ოჰ, თითქო ახლოც  
ცხადად ვამჩნევ ამ ტკბილ სიტყვებს  
ჩვენო გელათო...  
შენს კედლებზე დაწერილებსა  
ცეცხლებრ ანთებულ  
მოკლვარე დიდ ასოებით  
და კვლავ ვიფსები  
შე იმედით და სსოებით!

1909 წ.  
ქ. ერევანი.

# ბრეტონური სახალხო პოეზია.

(ფ რ ა ნ გ უ ლ ი დ ა ნ)

ბატონი ნან და ალი.

თარგმანი ალ. სარაჯიშვილი.

ბატონი ნან და მისი ცოლი ადრე დაქორწილდნენ, მაგრამ ადრეც გაიყარნენ. ცოლმა შობა თოვლსავით თეთრი ტყუპი: ერთი ვაჟი, ერთი ქალი. — შენ რომ ვაჟი მომეცი, შენს გულს რა ნებავეს, მიბრძანე ახლავ მოგართვა. ჭაობის ცხრა-ტყავას ხორცი, თუ მწვანე ტყის შვლის ხორცი?

— შელის ხორცი უფრო მიახებოდა, ტყეში წასვლამ თუ არ  
ეს რომ ესმა ბატონს ნანსა, აიღო მუხის შუბი,  
შემოახტა თავის შავს ცხენს და გასწია მწვანე ტყისკენ.  
ტყის პირს რომ მიაწია, დაინახა თეთრი შველი;  
ისე მედგრად გამოუდგა, მიწას გაჰქონდა ზანზარი;  
ისე მედგრად გამოუდგა, შუბლზე ოფლი წურწურით ჩამოსდიოდა,  
და მის ცხენსაც ორსავე ფერდზე. შემოლამდა;  
ნანმა ნახა წყარო, ალის ქვაბს ჩაუდიოდა,  
და გარშემო წმინდა მოლი. ჩამოხტა წყლის დასაღველად.

ალი წყლის პირს ჩამომჯდარიყო, და გძელს ქერა თმას ივარცხნიდა.  
ოქროს სავარცხლით ივარცხნიდა (ის ქალები ღარიბნი როდი არიან).

— როგორ გაბედე და ჩემს წყალს როგორ ამღვრე!

ან ახლავ შემირთე, ან შეიდ წელს ზეზეურად გახმი, ან სამ ღღეში მოკვდი.

— არ შეგირთავ, იმიტომ რომ ერთი წელიწადი ჯვარ-დაწერილი ვარ.

არც ზეზეურად გავხმები და არც სამ ღღეში მოკვცდები;

სამ ღღეში კი არა, როცა ღმერთი ინებებს მაშინ მოკვცდები.

ალის შერთვას, ახლავ მოკვცდე ის მიჩვენია!

\*  
\*  
\*

— დედავ, თუ გიყვარდე, ლოგინი დამიგებინე, თუ ჯერ არ დაუგიათ;  
ძალიან ავადა ვარ.

ჩემს ცოლს არა უთხრათ რა. სამ ღღეში მიწას მივებარები,  
აღმა ჯადო მიყო.

\*  
\*  
\*

სამი ღღის შემდეგ რძალი დედამთილს ეუბნებოდა:

— მითხარი, დედამთილო, ზარებს რად რეკენ?

რად გალობენ მღვდლები თეთრად მოსილნი?

— ერთი უბედური კაცი ამასწინ შემოგვეკვდლა, ის მომკვდარა ამაღამ.

— დედამთილო, მითხარი: ბატონი ჩემი ნან სად წავიდა?

— ქალაქს წავიდა, შვილო. მალე მოვა შენს სანახავად.

— დედამთილო, მითხარი: სალოცავად წითელი კაბა ჩავიცვა, თუ ლურჯი?

— ახლა შემოიღეს, შვილო, სალოცავად შავს კაბას იცმენ.

სასაფლაოს გაღავანი რომ შეიარა, ქალმა ნახა საწყალი ქმრის საფლავი.

— ჩენი გვარისა ვინ მომკვდარა, ჩენი მიწა რომ ახლად ნათხარია?

— ვაი, შვილო, რაღა დაგიმალო, შიგ შენი საწყალი ქმარი მარხია!

ქალი დაეცა მიწასა და ველარ ადგა.

\*  
\*  
\*


საკვირველი სანახავი იყო. ღღისით რომ ქალი თავის ქმრის საფლავში და-  
მარხეს.

იმ დამეს საფლავზედ ორი მუხის ხე ამოვიდა,

მათს შტოზე ორი თეთრი მტრედი მხიარულად დაგოგმანებდა,

განთიადზე იგალობეს, მერე ზეცას აფრინდნენ.





საფლავზე სურათი კოტარბინსკისა

# საფლავზე.

ა. შანშიაშვილი.


მოველ საფლავთან, გლოვით ვსტიროდი,  
 შავს მოგონებით გული მტკიოდა;  
 ცივს მარმარილოს ვეკონებოდი,  
 ვარდზედ ბუღბული ჩემს ბედს სჩიოდა  
 ყვავილს უმანკოს ვებრალებოდი,  
 სისხლით შესვრილი წითლად ღვრიოდა!

დღეს დაჰხუჭე თვალი მგზნებარე,  
 გრძნობა მიყუჩდა სიყვარულისა;  
 ცივს ხელს შევახე ბაგე მთრთოლვარე,  
 კენესა აღმომხდა სინანულისა.

ვაი, თუ იმ დროს ეჭვმა შეგიპყრო,  
 და სთქვი: მიჯნური არ მიერთგულებს?!  
 არა!... შენთან ვარ!... ველი შენს ნახვას.  
 მოვედ მოგიდგენი ნაზ თაიგულებს.

სიცოხლის ჟამსა არვინ ვიცნობდა,  
 იღუმალია დღესაც სამარე;  
 ჩანგი დავთალზე შენად სახსოვრად,  
 ძაძა გლოვისა გადავაფარე!

ალარ ვიმდერო სამხიარულო,  
 არცა ღიმილი სულს მომეკაროს;  
 ალისფერ სისხლის ცრემლად დაგადნე,  
 შენთან სამარე მეც გამეთხაროს!



# „ნილოსის ძღვენი“.

დ. კილოსანიძე.

(გაგრძელება)


## III

ხუროთმოძღვრება.

ამ ჟამათ იტალიის გარდა არც ერთი ქვეყანა არ იზიდავს იმოდენა მოგზაურთ, რამდენსაც ეგვიპტე. ადვილად ვასაგებია, რომ იტალიამ თავისი ბუნების სიმშვენიერით, ლაზვარდი ცით, კამკამი ზღვით, ამწვანებული მთებითა და კლდეებით, უდარდელი და მოძრავი მცხოვრებლებით და განსაკუთრებით კი უძველესი ნაშთებით მიიზიდაოს თავისკენ ადამიანის ცოდნის და ცნობის მოყვარეობა. უცნაურათ შეიძლება ეჩვენოს ადამიანს, რომ არა ნაკლები ძალით იზიდავს მოგზაურთ ეგვიპტე, ეს ქვიშის ქვეყანა, რომელიც წყალდიდობის დროს თვალუწვდენელ ზღვით იქცევა, რომლის ცხელი ქარები სასტიკათ სპობენ მთელს ოაზისის მცენარეულობას. ამ მიმზიდველი ძალის მიზეზი—ეგვიპტეს ხელოვნების უძველესი ნაშთებია, რომელთაგანაც ყველაზედ შესანიშნავათ პირამიდათ წოდებული უძველესი საფლავები და დიდებული ტაძრების ნანგრევები—უნდა ჩაითვალოს. ამ ნაშთების ასე შენახვის მიზეზი ეგვიპტეს რელიგია არის ის რელიგია, რომელიც ეგვიპტელთათვის უმაღლესი კულტურული ამამორძავებელი ძალა იყო. რომელიც მეცნიერების მაგიერობასაც სწევდა და ამაგრებდა და ნათელსა ჰჳენდა სახელმწიფოს კანონებს

პირამიდა ეგვიპტეს ფარაონთა განსასვენებელია.

ძნელი გარდასაწყვეტია სთქვას კაცმა, რამ მისცა დასაწყისი პირამიდის შემოღებას, ჩვეულებამ წინამძღოლთა საფლავზედ მიწის დიდი გროვის გაკეთებისამ, თუ თვით მოხეტიალე ხალხთა კონუსის მაგვარმა კარავმა. შეიძლება საფლავის გორამ და კარავმა ორივემ ერთათ მისცეს დასაწყისი პირამიდა, და იმ ქვეყნიური ცხოვრების, მომავალი აღდგომის რწმენამ კიდევ ის გამოიწვია, რომ ეგვიპტელნი ზრუნავდნენ სხეული შეენახათ, განუხრწნელათ, რისთვისაც შემოიღეს გვამის შემურვა და დაუნგრეველი, მაგარი პირამიდები. ნილოსის მარცხენა ნაპირზედ, ქაირის ახლოს ასამდე პირამიდა არის ცნობილი, სწორეთ იქ სადაც ოდესღაც იმყოფებოდა ეგვიპტეს უძველესი დედა-ქალაქი მემფისი. ეს უზარმაზარი შენობები მარტო თავის სიძველით კი არ არიან შესანიშნავნი, არამედ სიდიადით; ამ მხრივ მათ მხოლოდ რომაული შენობები თუ დაუპირდაპირდებიან. ყველაზედ უდიდესი პირამიდა გიზეს ჯგუფში—ხუფუს-ს (ხეოპსი) პირამიდაა;—სიგრძე-სიგანე 767 ფუტი აქვს და სიმაღლე კი—479 ფუტი). იგი თითქმის ორჯელ მაღალია ივანე დიდის სამრეკლოზედ, გაცილებით აჭარბებს სიმაღლით მოციქულ პეტრეს ტაძარს რომში და მხოლოდ ვიფელის კოშკსა და კელნის ტაძარს უთმობს სიმაღლის პირველობას. აი სწორეთ ამიტომ შემდეგში საბერძნეთ-რომის ქვეყანამ პირამიდები ქვეყნის ერთს სასწაულთაგანათ ჩასთვალა. რა პატარებათ უნდა მოსჩანდნენ უშიშარი მოგზაურნი, აღტაცებით ამავალნი ამ უზარმაზარ მისი ამშენებელი მშენებლების ცხარე ცრემლებით მორწყულ ქვებზედ, რომელსაც რამდენიმე მილიონ ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლეს და რომელიც ჩუმათ მოუთხრობს კაცობრიობას ნილოსის ველის ისტორიას მთელი ექვსი ათასი წლის გამავლობაში, დასცქერის



ნახევარ ღმერთების ფარაონების პატივის მოყვარობასაც და დიდებულ ნაპოლეონის დამამარცხებელ ნიჟსაც.

როგორც მხატვრობის ნაწარმოები პირამიდა ძალიან მარტივი და განუვითარებელია. ხუროთ-მოძღვრების სილამაზეს ყოველს კვალს მოკლებული როგორც გარედან ისე შიგნით, პირამიდა მეტს ინტერესს წარმოადგენს უფრო ტენზიკისათვის, ვიდრე ხელოვნების ისტორიისათვის. პირამიდას გარეგნობაში კაცს თვალში ეცემა სწორი სტერეომეტრიული ფორმა, ოთხკუთხიანობა. არავითარი ეჭვი არ არის მასში, რომ ისტორიულ განვითარებაში პირამიდებმა ორი ფაზისი გაიარეს. უძველეს ფორმათ უნდა ჩაითვალოს თანდათანობითი შენება (уступчатость). საჯვარახაში არის პირამიდა ზოსერისა, მესამე დინასტიის ფარაონისა, რომელსაც კიბის სახე აქვს, და შესდგება 6 უზარმაზარი ნაწილისგან, რომელთაგანაც ზეითი ნაწილები თანდათანობით პატარავდებიან; ეს პირამიდები ასირიის ტაძრებს—ზიკურატებს უფრო წააგავენ თავისი ფორმით. ამ ჯგუფის პირამიდების სიძველეს ამტკიცებს, თვით შემდეგი დროის პირამიდების აშენების ტენზიკა; პირამიდები ან დიდრონი ქვებისაგან შენდებოდნენ ან ნილოსის ლამის აგურისაგან. მისი გვერდები საფეხურებით აღიოდნენ მაღლა და ამ საფეხურებს შუა ადგილებს კი შემდეგ ამოავსებდნენ ხოლმე სამკუთხიან პრიზმის მაგვარი გათლილის ქვის ნაჭრებით, ხან მარმარილოთიც და ეს კი პირამიდას გარეგან სილამაზეს აძლევდა ხოლმე. ხეოფსის პირამიდა გალამაზებული იყო სხვა და სხვა ფერად შეღებილი თეთრი ქვით. (ცნობილია, რომ დიდ შენობების აგების დროს ახლაც ხმარობენ ამნაირ გალამაზებას). ახლა ამ ძვირფასი ნაშთის გვერდები და წვერი ახლო-მახლო მცხოვრებლებმა ჩამოაცალეს და თავისი შენობებისთვის მოიხმარეს. დაიკარგა აგრეთვე სწორი გრანიტის სხვა და სხვა ფერი ზედა პირი, და ახლა პირამიდა წარმოადგენს უდიდეს კიბეს 205 უზარმაზარი საფეხურით და ამსვლელ მოგზაურთ არა ნაკლებ სიამოვნებას აყენებს ვიდრე მილანის სობოროს მარმარილოს არშიის ბანზედ სეირნობა. უდიდესი ქვები რომლისგანაც აშენებულია პირამიდა, ისეთის ყურადღებით ითლებოდნენ, ისე კარგა დულდებოდნენ, ერთდებოდნენ, რომ მათი გაშორება, განცალკევება ისევე არ შეიძლება; როგორც ვგრეთ წოდებული ბრანდებურგის ნახევარ სფეროთა გაყოფა.

ეგვიპტელმა ხუროთმოძღვარმა, იმ აზრით გატაცებულმა, რომ გვამი დაეცვა დროთა და სტიქიონთა გავლენისაგან-გახრწნისაგან, შეჰქმნა მართლაც ამ მიზნისათვის გამოსაყენებელი გარეგანი ფორმა პირამიდისა, მაგრამ არა ნაკლები შემოქმედებითი ნიჭი გამოიჩინა პირამიდის შინაგან მოწყობაში, რათა მოესპო ყოველივე საშუალება მუმიის გაქურდვისა. რომ კაცმა ნათლად წარმოიდგინოს პირამიდის შინაგანი მოწყობილება, საჭირო და სკამარისია შიგ ჩავიდეს, თუმცა ეს არც ისე ადვილია, რადგან ბნელს კორიდორებში სეირნობა ისევე ძნელია, როგორც ქრისტიანობის პირველი ხანის სასაფლაოების თხრილებში—კატაკომბებში სიარული. პირამიდის შესავალი მიწის პირათ არ იმყოფება, ხან ძალიან მაღლაც არის ხოლმე, მაგ. ხეოფსის პირამიდას შესავალი 50 ფუტის სიმაღლეზედა აქვს. ვიწრო და მოუხერხებელი შესავალი ფარაონის დამარხვის შემდეგ ამოიძვებოდა დიდი ქვით, რომლის გადავდება, ადგილიდან დაძვრა არას გზით არ შეიძლება. შემდეგში ამ ქვის ზომით გაკვირვებულმა არაბებმა გახვრიტეს შესავალს გვერდზედ თვით პირამიდა. შესავალიდან დაქანებულია ვიწრო და გძელი კორიდორი მიწაში (ხეოფსის პირამიდაში დაახლოვებით 102 ფუტი) და თავდება პირამიდის

ქვეშ ერთი ოთახით. ამ კორიდორიდან დედამიწის ზედა პირზედ მიდიოდა მეორე კორიდორი და მეორე ოთახით თავდებოდა; ეს ოთახი დედოფლისა იყო. როგორცა სჩანს ორივე ეს ოთახი ცალიერი უნდა ყოფილიყო. მეორე კორიდორის კუთხიდან გადიოდა მესამე უფრო განიერი, იგი შედიოდა პატარა ოთახში, საიდანაც ვიწრო და შემდეგ ქვით ამოვსებული გასავლით შეიძლებოდა მეფის ოთახში შესვლა. ეგვიპტელ ხუროთ მოძღვარს მეფის საფლავის ჰაერის გაწმენდაზედაც უფიქრია: იქიდან ორი ვიწრო და დაბალი ოთახი მისი მილი გადის პირამიდის ზედა პირზედ ჩრდილოეთით და სამხრეთით.

(გაგრძელება იქნება)

# დრამატული პოეზია.

იპ. ვარაგვა.

II.

დრამა უფრო ახლას სდგას ეპოსთან, ვინემ ლირიკასთან. ის, როგორც ეპოსი, გადმოგვცემს შემთხვევას, თავ-გადასავალს და მოქმედებას, მხოლოდ თავისებურ და განსაკუთრებულ სხნით. დრამატურგი თითონ სრულებით არ მოგვითხრობს, ის აღაზარავს უსშავლოდ თხზულებაში მოქმედ ზნით. ეს გარემოება აძლევს დრამას უფრო მეტ ობიექტივობას, ვინემ ეპოსს. ეპოსში თავ-გადასავალ და შეითხვევა შუა შუაგულად მოამბე, მოხრობელი გამოადის; დრამაში კი მოამბე, სრულებით არ სჩანს, იმალება. დრამა ეპოსიდგან იმითაც განიჩევა, რომ მასში შემთხვევა, თავ-გადასავალი წარმოდგენილია მოქმედებაში, ამისთვის მოქმედებს სწარმოებს აწმეში: მოქმედნი ზნნი მოქმედბენ იმისდა მზგავსად, როგორც ცოცხალი ადამიანები ცხოვრებაში. ეპოსში კი თავგადასავალი მოთრობილია და გადმოცემული, როგორც წარსული.

გარდა ამის მოთხრობის ეპოსში სხეში ჰეავს მსმენელი (სულ ერთია, ხმადვილი თუ წარმოდგენილი); დრამატურგს კი—მხედველი.

თუმცა დიდი განსხვავებაა ეპოსს ლირიკას და დრამას შუა, მაგრამ შესაძლას მათი შეერთება ერთს თხზულებაში. რომანებში და მოთხრობებში, სდაც დასურათ-ხატბულია ჩვეულებრივი ცხოვრება ადამიანთა, ავტორები ხშირად მოთხრობის მაგივრად აღაზარავბენ მოქმედ ზნით. ბევრი ასეთი სცენები შეიძლება სცენაზედაც იქნეს წარმოდგენილი. და ავი ხშირად რომანებს დრამად გადააკბებენ ხლამე.

ზირიქით, ეპიკური და ლირიკული ელემენტბც შესაძლას შევიდეს დრამატბულ ნაწარმოებში. დრამაში მოქმედ ზნს შეუძლია მოგვითხრობრომედიმე შემთხვევაზე და აგრეთვე შეუძლია გამოსთქვას თვისი გრძობა.

თუმც ამ გვარად არიან ერთმანეთში გადახლართული სმაი დარგი პოეზიისა, თუმცა ხშირად ერთი მეორეს სცვლის, მაგრამ ეს მანბც ხელს არ უძლის თითოეული მათგანი დარბეს დამოუკბდებედ და თავბსუფად ხელაფბურ ნაწარმოებად.

მართლაც, თითოეული მათგანი სარკებლობს ენბთ—ამ ეფელებეუე ხმადვილ ხელაფბურ ნაწარმოების უმთავრეს ძარდვბთ—თავბსებურად.

ეპოსი ცდილობს გადმოგვცეს თავ-გადასავალი, შემთხვევა და ცხოვრების ვბთარება თავბს მოწეობბლებბთ. ამბსთავბს მბსი უმთავრესი მბზნბა ცხდად, ხთლად და მბნანბსბნბნთ დავბსურათ-ხატბს რომედიმე მოვლენა. ეპბოსი ამ შემთხვევაში მეტბქვა მბსტარბს და მექბნდაბს

ღირსი უმთავრეს ურადლებას აქცევს ენის ემციანაღურ მხარეს, რათა ქრისტიანობა მთავრად და ადრას გრძნობა, გულის აზრი. ის ჭეშნის სურათებით; არ ამტკიცებს რასმე, მხოლოდ აჩვენებს ცაცხლად. ღირსი უმთავრეს ენის თავისებურებას შეადგენს: ემციანაღური შედარება და კონტრასტები, ღირსი უმთავრესი ელემენტები, ბევრნაირი განმეორება და სხვა. — განხორციელება, ცაცხლდება უსულო საგნების შეადგენს ღირსი უმთავრეს წყაროს.


ღრამის უმთავრესი საღსარია დიალოგი. დიალოგი უნდა იყოს მოსხლეტილი, მოკლე, ცაცხლადი, მიზანშეზომილი, შინაარსიანი; მოღაზარაკე ზირნი უნდა ცდილობდნენ ერთმანეთი დაჯერონ, ერთმანეთის ნებაზე იმეჭმედონ და აიძულონ ერთმანეთი დადგენენ რამეღიმე გადაწყვეტილებას... საუბარი იმეჭმედ ზირთა უნდა იყოს ტინიური...

როგორც ზემოთა ვსთქვით, ღრამა, როგორც ებსიცი, ხატავს შემთხვევებს და აღმანთა საქმეებს. ადგილი წარმოსადგენია, რომ ენიური მწერლისთვის გამოსადეგი და ხელსაყრელია. ის შესაძლოა სრულებით არ იყოს გამოსადეგი ღრამატურგისთვის, მაგალითად, აღწერა სხვა და სხვა სტიქიური მოვლენათა, გრძელ და დანაღართელ თავ-გადასავლათა, რომელშიაც მონაწილეობას იღებს მრავალი ზირი, უფრო მისწოდებია ენიკისთვის, რომელიც მოგვითხრობს და აკვიწერს; მაგ., ღ. ტელსტოიძე სამ-ათხ გვერდზედ გაგვაცნო აუსტერლიცის ბრძოლის რთულს მიმდინარეობას. ასეთს შემთხვევაში ღრამატურგს არ ძალუმი გაუწიოს მეტოქეობა ენიკის. მეორეს მხრით ღრამატურგს უზირატესობა აქვს ენიკის წინაშე აღმანის ცხოვრების გამოსატყაში: მსურებელი განუწყვეტილად ხელავს აღმანის მოქმედებას ამისთვის და ამ მოქმედებით უფრო ცაცხლად დანატურესებულა, მაგრამ აღმანის ცხოვრება მოქმედებაში მხოლოდ ის შეესაბამება ღრამატულ ზოეზის, რასაც არ აზის ბეჭედი ერთ-ფერთბის, მარტივობის, ყველადღიურობის: ყველადღიური, მარტივი და ერთფერი მოქმედება, მოვლენა, მოვლენების აღსრულება ღრამატულ გამოსხვით კარგავს სრულებით ინტერესს, მიზნიდველობას და გვარის მსმენელ-მსურებელის მოწყენას: ასეთი მოვლენა ენიკში უფრო ცაცხლად გამოხატებთან.

ღრამატულ ფორმით ისეთი მოქმედება და საქციელი აღმანის უნდა გამოხატოს, რომელსაც თანსდევს ბრძოლა დაბრკელებასთან, რომელიც გამოიწვევს ენიკის გაჭიფხვას და რომელიც შიამრთულია განსაზღვრული მიზნის მოღწევისაკენ.

ბრძოლა დაბრკელებასთან ასხვაფერებს და ართულებს ღრამატულ მღგომარეობას, შეაქვს ცუდილება მებრძოლთა მღგომარეობაში: უკანასკნელნი ხან უახლოვდებიან მიზანს, ხან შორდებიან. მსურებელი უნებლიეთ შედის მათს მღგომარეობაში, იმსკვდება მათის ინტერესით და განსაკუთრებით ფასს სდებს იმას, რომ არამც თუ ისმენს, არამედ ხელავს, თან ესწრება ბრძოლას. ის გაფაციცებით აღენებს თვალუფრს ამ ბრძოლის წაჭექ-უგუჭექობას, გადასვლ-გადმოსვლას და გულის ფანცქალით ელის შედეგს, კვანძის გასწანას. ღრამატული ნაწარმიები, რომელიც გაურკვევლად თავდება, სხდენს ფრად ცუდს შობაბეჭდილებას შვითხველზე და შით უმეტეს მსურებელზე. — მასსადამე დედა-ძარღვი, სული ყველივე ღრამის ბრძოლას; ეს ჭნდის ნაწარმიებს საინტერესოდ. ღრამატულია მხოლოდ ის, რასაც თან სდევს ბრძოლა, მოძრაობა, მისწრაფება, ძლევა დაბრკელებათა.

ბრძოლა ღრამატული არის ორნაირი: გარეგანი და შინაგანი. გშირი ღრამატური ნაწარმიებში ზირველ შემთხვევაში ებრძვის სხვა და სხვა გარემოებს, სხვა და სხვა ზირებს, მეტოქეებს და მტრებს, — მეორე შემთხვევაში კი — თავის თავს, რცა მასში დაჯახებთან ერთმანეთს მოწინააღმდეგე ინტერესები. ამნარად ფსიხოლოგიურად რომ განმარტოთ, ღრამა არის ზოეზი ნების და არა ზოეზი ცხად და ცაცხლად წარმოდგენათა, როგორც ებსიცი, და არა ზეზი გუნების, რა-



გორც ღირსია. დრამატურგს აინტერესებს ადამიანი, როგორც შეგნებული მოქმედი. ი ნების მოთხოვნების და მოქმედების მხრივ.

აქედან სწახს, როგორი დიდმნიშვნელოვანი მხარეს ადამიანის ცხოვრებისას წარმოგვი- დგენს და გვიხატავს სიტუაციური მასალით და სტენის სპირალებით დრამა.

შინაგანი დრამატული ბრძოლა თითქმის ყოველთვის გამოხატება სულიერ ორადგა- ყოფაში, განხეთქილებაში; ეს ორად-გაყოფა შეიძლება იყოს დრამებითი, მწვავე, მკვეთრი ან და შეიძლება მიიღოს ქრთიკული ხასიათი, მაგ., როგორც ჰამლეტი, სადაც ის იბრძობა ვით მის ბუნებაში. ეს ორად განყოფა თითქმის უცდადა შემთხვევას (შეტუბას მამის სიკვდილის ნამდვილ მიზეზისა), რომ გამოეწვია ჰამლეტში შინაგანი ბრძოლა.

შინაგანი ბრძოლა დრამატულ გმირის ყოველთვის არ არის ზნეობრივი. მაგ., ჰამ- ლეტის შინაგან ბრძოლას უფრო ფსიქოლოგიური ხასიათი აქვს, ვინემ ზნეობრივი, საბაბი შინაგან ბრძოლის და სულიერ განხეთქილების წარმოშობის შესაძლად მომდინარეობდეს შიგნიდან, როგორც უცფათ ნათქაი ძლიერი გრძნობა მტრისადმი (მაგ., შილდერის „ორლეანის ქაღწულში“).

დრამაში დრამატურგი იმას ცდილობს, რომ კამდიდროს თვისი ნაწარმოები „საქციე- ლით“, რაც უდრის ბრძოლით კამდიდრებას, მიზეზთა კამრავლებას, ნების კამდიდრებას. ამ გვარი კამდიდრება სიუჟეტის ავტორის შემომქმედ ფანტაზიის მეხებით იწოდება დრამატიზაციით.

დრამატურგი სიუჟეტს იღებს სუბარის ხსით და მერე ჩამოაყალიბებს დრამატულ ფორმაში: უმთავრეს ყურადღებას აქცევს პირთა აქტიურ მოქმედებას, მათ ინიციატივას, ანაწილებს რთულს ნების აქტებს, ამრავლებს მათ რიცხვს და მათ ჰქმნის შინაგან და გა- რეგან ბრძოლისთვის ახალს წყაროებს. ასე, შექმნილი, „მაგეტის“ სიუჟეტის დრამატიზა- ციის დროს, უმთავრეს გმირს ისეთს თვისებებს აწერს, რომლებიც უშლან მიზნის მიღ- წევას, მაგ. ვიზიონერობა, კალაიუცინაცია მხედველობისა. ეს ართულებს შინაგან ბრძო- ლას.

რომელიმე დრამატულ პიესის კარჩევის დროს ყურადღება უნდა მიაქციოს: ა) რა მიზნისკენ მიასწრაფიან მოქმედნი პირნი და ბ) რა დაბრკალებას (შინაგანს თუ გარეგანს) ებრძვიან ან შეხედვიან ამ მიზნისკენ მისწრაფების დროს.


დრამა ჩვეულებრივ იწება რომელიმე შემთხვევის გამოსახვით, რომელიც დრამატულ მდგომარეობაში აყენებს გმირებს და საბრძოლველად იწვევს. შემთხვევას, რომელიც კახდა მიზეზად დრამატულ ბრძოლისა, ეწოდება ხლართი, დანასკულობა... სადაც არ არის საფუძ- ველი ბრძოლისათვის, იქ დრამაც არ არის.

უმნიშვნელო და უშინაარსო პიესები კმაყოფილდებიან მხოლოდ გარეგნულ ხლართით, რომელიც შემთხვევითის ხასიათისაა. ფოდევილში ხლართათ მსახურობს მსგავსება ხსელების ან აზრისა ადამიანთა, შემთხვევით შეცდამა, ზოფნა რისიმე, გაუკებრობა და სხ.

რაც უფრო შინაარსიანია პიესა, მით უფრო ხლართი, დანასკულობა დრამად დამკვიდრე- ბულია მოქმედ პირების ხსიათზე; ამ გვარ პიესებში დიდი ადგილი უჭირავს შინაგან ბრძოლას.

მოიგონა თუ არა დრამატურგმა ხლართი, იმან მაშინათვე უნდა იზრუნოს ექსპოზიციისაზე ე. ი. იმაზე, რომ მკითხველმა ადრე გაიგოს გარემოებები, რომლებითაც იწება პიესა, შეიგნოს მოქმედ პირთა ურთიერთშორის დამკვიდრებლობა და ინტერესები. ექსპოზიციის სიბნელე იმაში მდგომარეობს, რომ დრამატურგი თითონ არ დაზარავს (თუ ვი მხედვე- ლობაში არ მივიღეთ ის მოკლე შენიშვნები, რომელსაც ისე ათავსებს პიესის წინ—ადგილი





მოქმედებისა, დრო, სახელები). ექსპოზიციის მიზნისათვის დრამატურგი ჩვეულებრივად ზნააკებს მოქმედ ზირო ერთმანეთთან იმ გარემოებათა შესახებ, რომელშიაც ისინი იმყოფებიან; ოდნავ ადვილად შესძლებულია ამან აზნოს ზიესს, რადგანც მოთხრობა არ შეესაბამება დრამას... ერთის სიტყვით, რაც ადრე და ბუნებრივად მოახერხებს დრამატურგი გააზნოს ზიესის ხელთს, მით უკეთესია.

უფრო ძნელია ექსპოზიციის ხსიეთების. ხანდისხან ამ მიზნით ერთი ზიერი ახსიათებს, აწიერს სცენაზედ მეორეს. მკრამ ესეც საზოგადოდ არ შეესაბამება დრამას: დრამაში მხოლოდ ის ახდენს შთაბეჭდილებას, რასაც მყურებელი ხედავს. ამხიარად საჭიროა, რომ მოქმედი ზიერი თითონ ამყდავებდეს სცენაზედ ხსიათს თვისი მოქმედებით და მსჯელობით. რომ მოქმედ ზიერს მიეცეს საშრალეობა გამომჟარავოს თვისი თავი და ხსიათი ამ თუ იმ მხრით, დრამატურგს შეაქვს ზიესში განსაკუთრებული სცენები ან ხაწილი სცენისა, რომელიც არ არიან საჭირო ზიესის მსჯელობაში, მხოლოდ საჭიროა ხსიათების ექსპოზიციისათვის; ასეთია სცენები „გაკვეთილის“, „გამოცდის“, რომლებიც ახსიათებზედ ზრესტყავას, რეგორც ქალობატონს.

მის შემდეგ რაც დრამატურგი გააზნობს მყურებელს ხლართის უმთავრეს მხარებს, იწიებს განვითარება მოქმედებისა, ე. ი. განსაკუთრებით დრამატიული ბრძოლა.

მსჯელობა ან განვითარება მოქმედებისა იმაში გამოიხატება, რომ მდგომარეობა მოქმედ ზიერთა, მათი ერთმანეთთან დამოკიდებულობა, მიზნისკენ მისწრაფება შეუწყვეტლად იცვლება; თითოეულ მოვლენას შეაქვს რამე ახალი, ხან უახლოვებს მიზანს, ხან კი აშორებს. ასეთს მდგომარეობათა ცვლილებას არისტოტელმა ბრძოლის ზერიზეტია უწოდა.

დაწიებული ბრძოლა თანდათან რთულდება სხვა და სხვა გარემოებებით. ამას ჰქვიან მხაჩხება (ინტრიგა). კარგს და ნიჭიერად შედგენილს ზიესშიისეთი სცენები უფრო მეტია, რომლებიც წინ სწიევენ მოქმედებას, ვინამ ექსპოზიციისთვის საჭირო სცენები. რადესაც უკანასკნელი ისჭარბობენ, ზიეს მიდის ზოზინით; მყურებელს ეკარება ინტერესი მოქმედ ზიერის ბედ-იდბლისადმი, ისე გაფაციცებით და გულისფანტქაღით არ მოვლის ზიესის ბოლოს დასკვნას. ზირ იქით დასკვნის მოლოდინი თან და თან უნდა უზრდებოდეს მყურებლის სულში. ამას ჰქვიან დრამატიზმის შეჭმატება (нарастание драматизма).

გართულებული ბრძოლა თავდება ამ თუ იმ შედეგით. ამას დასკვნას ეძახიან.

## საადგილ-მამულო ზოლიტიკა ქალაქებში

სხვაზან და ჩვიწი.

ბ. ა — ნი.

(გუძღვნი ქუთაისის ახალს საბჭოს „სალორის“ საკითხის მასალად)

თანამედროვე ქალაქებში საადგილ-მამულო საკითხი უდიდეს უურადლებას იქცევს ადგილობრივ თვითმართველობის მოღვაწეთა მხრივ. ეს არც განსაკვირველია იმ დროს, რადესაც განვითარებული ტეხნიკა უველათერს აიაფებს, ადამიანისთვის საჭირო ნიფთებს ამრავლებს, — მიწა, რომელზედაც სწარმოებს უფველი მოქმედება ადამიანისა, სიფრტით უცვლელია. ერთის მხრით თვით ასეთი თვისება მიწისა და მეორეს მხრით ხსიათი თანამედროვე კულტურისა, რომელიც ხელს უწიობს ქალაქების მცხოვრებთა სწრაფს გამრავლებას, იწიევენ ზოგიერთ ადგილის ფისის საარაკო ზრდას. წარსულ საუკუნის მე-20-წლებში, — მოგვითხრობს ამ საგნის საუკეთესო მცოდნე დამაშკე, — გლეხმა კილიანმა ბერდინის მხლობლად,

შენებერგში, საბოსტნე ადგილი შეიძინა 8100 მარკად მე-70-ე წლებში 6 მილიონ მარკად გაიყიდა. სახელმწიფო მოღვაწები, რომელნიც გერმანიის მხარეს იმ 50 წლის განმავლობაში: სარდალნი, რომელნიც იმარჯვებდნენ ბრძოლის ველზედ, მეომარნი, რომელნიც თავს სწირავდნენ თავის სამშობლოსთვის, აღმოჩნენ-გამომგონებნი, რომელთაც მრეწველობას ახალი გზა გაუხსნეს, მექანნიკები, ვაჭრები, მუშები, სელაფნების მსახურნი, მასწავლებლები, ევკლამ, ვინც კი თავის გონებრივ თუ ფიზიკურ ძალით ხელი შეუწყო გერმანიის იმპერიის გაძლიერებას და მისი სატასტო ქალაქის გამშენიერებას, გავლენა იქონია იმაზე, რომ რვა თასი მარკა ექვსი მილიონის თანხად იქცა“ \*) (ადგილი ნებას არ გვაძლევს მოვიყვანოთ მსგავსი მაგალითები, რომლებიც მოთავსებულია დამაშკეს ნაშრომში, მაგრამ შეითხველს უეჭველია ადგილობრივ ცნობებთანაც სკამო მასალები ექნება გაცნობილი იმის შესახებ, რომ ჩვენს კუს ნაბიჯით მავალ ქალაქებშიაც კი ის სიმოსხლო მიწები, რომლებიც 10, 20, 30 წლის წინათ 1, 2, 4 მანეთად ფასობდნენ, ეხლა ფასში გა-2, 4 და 10-კეცბული არიან. ეს არის შედეგი ქალაქის მცნობრებთა ბუნებრივის მრავლებისა და მეცნიერებაში მას „ღირებულების დაუმსახურებელი მინამატი“ — Zumachsrente — ეწოდება.

ვთქვათ, ვინმემ ქალაქის განაშენის ერთი ქვეკვა სხსნავი ადგილი იყიდა 300 მანეთად. მას შეუძლიან სრულიად არაფითარი ურადღება არ მიაქციოს ადგილის გაუმჯობესებას. გაიფლის რამადენიმე წელიწადი და ის ადგილი სიმოსხლოებად დაიყოფება და გაიფიქება, ვთქვათ, საყენი 2 მან., სულ 1800 მანეთად. აი, ამ 1500 მანეთს, რომელიც შეემატა ადგილის ფასს მისი ზატრანის მხრივ რამე შრომის დაუნარჯავათ, — მხოლოდ იმიტომ, რომ ქალაქის მცნობრებთა გამრავლებამ თვით ქალაქის ფარგალი გააფართოვა და მოქალაქეთა ნაწილი, რომელიც ძველს ტერიტორიაზე ადარ დაეტია, იძულებული გახდა განაშენის მოეწყო თავისი ბინა და ძველად სხსნავი ადგილი სიმოსხლოდ გარდაექცია, „ღირებულების დაუმსახურებელი მინამატი“ ეწოდება. ეს მოვლენა უმთავრესი მიზეზია იმისი, რომ ქალაქის მიწების რაც შეიძლება მეტი ნაწილის განსწობრებადობრივება სდღეისო სკაითხად არის გარდაქცეული. ზრატკიული განხორციელება ქალაქის მიწების მუნიციპალიზაციის უკიდურეს ზრტიების წარმომადგენლებსაც კი აერთებს ადგილობრივ მოღვაწეობაში. სწობადო მოვლენას, რომ მიწის გაძვირებასთან ერთად ქალაქებში ჩნდება მადლი სხსლები, — „ქვის უუთები“, როგორც უწოდებს მათ რიესკინი. ამას კი თან სდევს ბინების გაძვირება და ამით გამოწვეული მცნობრებთა გადაჭარბებული შეკვრეება. მცნობრებთა დარბიი ნაწილი იძულებულია მიმართოს ხესტიანსა და ბეხლს სარდაფებს, რომელნიც ეოგულგვარ სოციალურს უბედურების ბუდედ ხდებიან. „ზოგ ოჯახს, რომელსაც დაუქირავებია მხოლოდ ერთი ოთახი, ვკითხულობთ ბრიუსელის ბინების ოფიციალურს გამოკვლევაში, აქვს მხოლოდ ერთი სწოლი. ქალსა და ვაჟს, დიდსა და ზატარას ერთად სძინავთ. ერთი მუშის ოჯახობა, რომელსაც მხოლოდ ერთი ოთახი აქვს, 10 სულისგან შესდგება: 70 წლის მოხუცი მამა, მისი ცოლი მეორე ქარწინებით, სში ვაჟი ზირველი ცოლისგან, ორი ქალი და ერთი ვაჟი მეორე ცოლისგან და ორიც უკანონო ქალი მისი ცოლისა. ოთახში მხოლოდ ერთი სწოლია, რომელზედაც მშობლები წვებიან, დანარჩენ რვა სულს იატაკზე სძინავთ ერთად. შედეგი ამის იყო ის, რომ ოთხი ქალიდან სში ორსული აღმოჩნდა“ \*\*) შინცლელის აზრით, არსებობს ზირდაზირი დამოკიდებულება ჭკერის რადენობასა, რომელიც მოდის თვითეულ მდგომურზედ, და ოჯახურ კავშირს შორის: რაც უფრო ნაკლებია ჭკერი ბინაში, მით უფრო ხშირია ცოლ-ქმრული კავშირის გაწვევა \*\*). მისივე გამოკვლევით, მჭიდროდ დასახლებული ბინები იძლევიან მეტს  $\frac{1}{6}$ -ს დანაშაულობისს (იქვე, გვ. 20). ამასვე ამტკიცებს მოძველებული, მაგრამ დედა აზრის სიმართლეში მრავალ გზით შემოწმებული ზაკის ხუხსა.

\*) А. Дамашке, задачи городского хозяйства, 33. 126.

\*\*) М. Загряцковъ, социальная дѣятельность городского самоуправления на Западѣ. Выпускъ I проблемы муниципализаціи 33. 18

\*) ibid. გვ. 19.



მცხოვრებთა რიცხვი ერთს სსხლში	კარდაცვალებულთა რიცხვი, %	უკანონო მემკვიდრეთა რიცხვი	მემკვიდრეთა რიცხვი
ღონდინი . . . . . 8	24		4
ბერლინი . . . . . 32	25		18
ჰარიზი . . . . . 35	28		20
ბეტერბურგი . . . . . 52	41		26 (იქვე გვ. 18).
ვენა . . . . . 55	47		51

ქალაქის ადგილების ფასები იზრდება ქალაქის მცხოვრებთა გამრავლების თანაბრად და ამის გამო ბინის ქირა მატულობს, ხოლო ბინის ზირბები, როგორც უღარიბეს ისე საშუალო კლასებისათვის, თანდათან უარესი ხდება. ღარიბთათვის ხელმისაწვდომ ბინების აშენების საქმეს ადგილების სიძვირე აფერხებს. ამავე დროს კი ქალაქის მიწის ზატრახები უზომო სარგებელს იღებენ თავის მხრით შემომქმედი შრომის დასახარჯავად. ეს შედეგია კერძო საკუთრების უფლებისა განსაზღვრულს ბუნებრივ ფაქტორზედ, რომელსაც კერძო მფლობელობით მონობლიის ხასიათი აქვს მიღებული. ვაგნერის სიტყვით, ასეთი მონობლია მიწის მფლობელთა შეპყრობად ჰხდის ქალაქის მცხოვრებთ. კერძო ოჯახების დაბერას მიწის მფლობელთა სსსარგებლოდ ემხნევა ეგვლს კარგები თავისებ კერძო უფლებებზედ დაფუძნებული ხარკისა—სყოველთაფო ვალდებულება და მიწის მფლობელთა მხრით შესაფერ მატრახილურ სსსაგეორეს არ არსებობა. მაგრამ, სსმქალაქე უფლებებზედ და კერძო უფლებრივ ურთიერთობებზედ აღმცენებული ხარკი არის *contradictio in adjecto, nonsens*, რომელიც ეწინააღმდეგება მთელს ჩვენს თანამედროვე შეგნებას არა თუ სამართლიანობისსა, არამედ თვით უფლებისსაც. ამგვარ იურიდიულ უზრობამდე მივყავართ ასეთ შემთხვევაში მიწაზე შეუზღუდველს კერძო საკუთრების უფლებას, რომელიც წარმოადგენს სსუკათესო მკვლითს ქალაქის ეკონომიურ ცხოვრებიდან გამომდინარე მონობლიის ანტიცენციალურის მნიშვნელობისს<sup>4)</sup>.

კარდა ამისა, კერძო შესაკუთრე სრულებით არ არის დაინტერესებული კასაქირავებულ სსხლების ჰიგიენურად მოწყობაში. ზირქით, სწორეთ ისეთი სსხლები, რომლებიც ვითამდა ღარიბ მოქირავეთათვის არის დანიშნული, უდიდეს შემოსავალს აძლევს, რადგანაც ასეთ ბინებში ცხოვრება, შედარებით, უფრო ძვირი ჯდება. ზინგერის გამოკვლევიით, ერთი კუბიკური ფუტი ჰქერისა ვენის მდიდართა ბინებში ფასობს 5 კრონს და 3<sup>1</sup>/<sub>2</sub> ჰქლერს, ხოლო ღარიბთა ბინებში კი 6 კრონს და 48 ჰქლერს. ამასვე ამტკიცებს სხვა ქალაქების სტატისტიკური ცნობებიც<sup>5)</sup>. მიწის ზატრახები ქალაქებში, ზედმეტ სარგებლობის მისაღებად, მუდამ იმას სცდილობენ, რომ თავის ადგილის ეოველ ნატურზე შემოსავლიანი სსხლები აკონ და სრულად ანგარიშს არ უწყვენ სსზოგადობრივ ჰიგიენისს, რომელიც მითხრავს განსაზღვრულ მიმართულებას და სიფართის ქუჩებს და სსზოგადო ბაღებს, ამ ჰქერის „არხებს და აუზებს“. მერე კი, როდესაც ამ გვარი მისწრაფება ჯეროვანს ნყოფს გამოიღებს, თვითმართველობა იძულებული ხდება უზომო ფასებში შეისყიდოს საჭირო მიწა გზების გასაფართოებლად და ბაღების და მანების გასამართავად; უფრო ხშირად კი იძულებული ხდება მთლათ ხელი აიღოს მრავალგვარ კეთილ განზრახვებზედ, რადგან თვით-მართველობის შეზღუდულ ფინანსებით მიწის მფლობელთა მადის დამკაფოფილება ასე ხერხდება. ამიტომ ამ ბოლო დროს უველგან ცხადი შეიქნა ქალაქის მიწებზედ კერძო ზირთა საკუთრების უფლების შეზღუდვის საჭიროება სსზოგადობის სსსარგებლოდ.

1890 წლის კანონი უფლებას აძლევს ინგლისის ქალაქებს ჩამოართვან კერძო შესაკუთრებებს ადგილები ჰიგიენურის საჭიროებისათვის. რუსეთში ასეთი კანონი არ არსებობს და ეოველ კერძო შემთხვევაში ქალაქები იძულებულნი არიან ამისათვის უმადლესი ნებართვა გამოითხოვონ. მაგრამ, სსმწუხაროდ, ჩვენი ქალაქებისათვის უმადლესი ნებართვის შემდეგაც მიწის ექსპროპრიაცია ზრატტიკულად განუხორციელებული რჩება. როგორც მისკოვის ქალა-

4) *ibid*, გვ. 21.  
 5) *ibid*, გვ. 17.

ქის გამკვების გამოცდილება გვიმტკიცებს, მიწის ჰატრონები, რომელთა ადგილს უკავშირდება ლესის ბრძანებით ჩამოეჭრება ქუჩების გასფართოებლად საჭირო ნაწილი, მაინც უსწრებულად თვითმართველობიდან 100, 200 და ხშირად 500% იმაზე მეტი მიიღონ, ვიდრე მათი მიწის ნაკვეთი ღირს ნამდვილად. მწარე გამოცდილებამ მოსკოვის თვითმართველობა იმავე დასკვნამდე მიიყვანა, რა დასკვნამდინაც თეორიული მსჯელობით დიდასწიათ მივიდნენ კონომისტები. ასე რომ მოსკოვის თვითმართველობა უკვე პრაქტიკულად ცდილობს ქალაქის მიწის საკუთრების გაფართოებას.

გერმანიის ქალაქების პლიტეკა მიწის საკუთრების საკითხში აკვარად სწახს დამამკეს წიგნის 176 გვერდზედ მოთავსებულ ნუსხაში. აი, ეს ნუსხა:

ქ ა ლ ა ქ ე ბ ი	2		3		4
	მიწის საკუთრება თვითმართველობათა ქალაქის ფარგალს შიგნით და გარეთ ჰექტარობით.				
	1890 წ.	1900 წ.	%		
მიუნხენი . . . . .	1002	4352	334,33		
ბრესლაველი . . . . .	4183	5125	22,52		
დრეზდენი . . . . .	121	472	290,08		
ნიურნბერგი . . . . .	234	379	61,97		
შარლოტტენბურგი . . . . .	405	430	6,17		
ჰესენი . . . . .	107	278	159,81		
ალტონა . . . . .	245	337	37,55		
ბარმენი . . . . .	67	129	92,54		
ბახენი . . . . .	1143	2708	136,92		
პონანნი . . . . .	76	98	28,95		
კრეფელდი . . . . .	64	134	109,38		
დიუსბურგი . . . . .	562	631	12,28		

1903 წ. „მოსკოვის ქალაქის საბჭოს ცნობების“ აქტომბრის წიგნში მე-180 გვერდზე მოყვანილ „Kievue municipale“-ის კორესპონდენტის სიტყვით, ქალაქს მანჭიამს ეკუთვნის იმ დროს (1903 წ.) 32%, ხოლო მაინის ფრანკფურტს 46% მთელი ქალაქის ტერიტორიისა.

- ზემოთ განმარტებულიდან ჩვენ გამოგვიყვანს შემდეგი დასკვნა:
- ა) ქალაქის ადგილები, ვოგელგვარ გაუმჯობესების დამოუკიდებლად, მიწის ჰატრონთა მხრივ რაიმე შრომის დაუნაჯავად, ფასში სწრაფად მატულობს, რაც შედეგია ქალაქის მცხოვრებთა ბუნებრივის გამრავლებისა და თვითმართველობათა ორგანოების კულტურულ მოღვაწეობის.
  - ბ) მიწის ძველსა და ახალ ღირებულების განსხვავებას, რომელიც არის ა) მუხლში აღნიშნულ მიზეზის შედეგი არის, „ღირებულების დაუმსახურებელი მინამატი“ ეწოდება.
  - გ) „ღირებულების დაუმსახურებელ მინამატის“ კერძო ზირთა ხელში განუსახლდრეულად დატოვებას იურიდიულ მეცნიერებაში სოფლიან უზრუნოდ, პრაქტიკულ მოღვაწეობაში კი საზოგადოთ და, მის მოსზობას თუ არა, შესუსტებას მაინც სცდილობენ უმთავრესად ქალაქის ხელში მიწის მფლობელობის გადატანით.
  - დ) ქალაქების ხელში მიწის საკუთრების გაფართოება მაინათ აუცილებელ საშუალებად. თვითმართველობათა მხრივ კულტურულ-განმანათლებელ, სანიტარულ-ჰიგიენურ და სხვა რთულ საზოგადოებრივ მიზანთა განსახორციელებლად.
  - ე) ცნობილ ნ. შჩეპინის მიერ თვითმართველობის კურსებზედ წარმოთქმულ სიტყვის თანახმად, ზემოთ მოყვანილ მუხლებში გატარებული აზრები ერთი იმ ჭეშმარიტებათაგანია არის, რომელიც იწვევენ პრაქტიკულ მოქმედების ერთგვარობას ერთის მხრით თინანსიურად

ძლიერის, სიღრმე მიმართულებით თავთ უკიდურეს სიციხისტურის გერმანიის მუნიციპალიტეტებისს, სიღრმე შეიქმნა მხრით ფინანსიურად შედარებით სუსტის, მიმართულებით კი რეაქციონერის მისკოფის ქადაგის საბჭოსს.

ამით ვათავებთ მიწის სკაითხის შიშვე მიმხილვას უცხოეთში და შემდეგ წერილში ვეცდებით გავარკვიოთ ის მიზეზები, რამეთუც განსაზღვრეს ქუთაისისა და ტფილისის თავთმართულობის პოლიტიკა მიწისმფლობელობის საქმეში. იქვე აღვნიშნავ იმ ზომებს, რამეთუც, ჩემის აზრით, საჭიროა მიიღოს ქუთაისის საბჭომ „სადარბის სკაითხის“ გადასწვევტად.

## კ ვ ი რ ი დ ა ნ - კ ვ ი რ ა მ დ ე .

სახუმაროთ, სალაყბოდ, —  
მეგობართა სარეველად“...

### გ. ახალცახელი.

რომ იცოდე, მკითხველო, როგორ გამეხარდა ამ ჩვენი ჟურნალის „ცხოვრება და ხელოვნების“ დაარსება, რომლის გასაძღოლათაც საჭირო შეიქმნა „მოზილიზაცია“ 1) რედაქტორისა (ჩვენ შორის დარჩეს, მკითხველო, და, შენი დღეგრძელობით, მკითხველმაც რომ ესრევე იბარტყოს)!... გამეხარდა იმიტომ, რომ ამ ჩვენ „დაწყნარებულ დროში“ იმდენად „სახლათფორთო“ აღარ იქმნება თანამშრომლობა მრავალ რიცხ. რედაქტორ. ორგანოში და, ვინიცობაა გადასახლებაზედაც ჩამოვარდეს ლაპარაკი (პაერის გამოსაცვლელად), ვიდრე ამდენ რედაქტორს გადასახლებდნენ, თანამშრომელს რა ისრე ღმერთი გაუწყრება, რომ თავი ვერ დააღწიოს! მე ამას საზოგადოთ მოგახსენებთ, თორემ მაგ მხრივ მე უზრუნველ ყოფილი ვარ რადგანაც პირადათ ჩემი კეთილ საიმედობა ყოველ ეჭვს გარეშეა: არამც თუ თამამი სიტყვა, თავისუფალი ფიქრიც კი შეზოქილი მაქვს, გრძნობა დახშული, იმედები წაშლილი; კუნძივით, სადაც დამავდებენ, ჩემგან საყვედურს ან უთანხმოებას ვერავინ ვაივებს, — აღამიანის აჩრდილი და ვარ; ჩემს სახეზედ და მთლად ჩემს მოკაკულ, მოცახცახე არსებაში ამკარად ამოიკითხავთ უსახლგრო მონურ-მორჩილებას ჩვენს ბატონ-პატონებისადმი, ამიტომაც არის, რომ როცა შეგვხვდებით ხოლმე მე და ჩვენი მეზოვე, ყოველთვის კბილთა ღრქენით გადავხედავთ ხოლმე ერთმანეთს. ერთი სიტყვით, ბევრი რომ არ გავავრძელო, — ტიპიური წარმომადგენელი ვარ თანამედროვე მოქალა... უკაცრავად — „ოზივატელისა“ და აბა რის შიში უნდა მქონდეს, მაგრამ, ხომ მოგეხსენებათ, ეშმაკს არა სძინავს, ჩვენც კაცნი ვართ და თუ ჩვენ ამბებში უნებლიეთ რამე წამოგვცდა, შეიძლება კაცმა ერთიღვან-ერთ რედაქტორსაც არის გადააბრალოს, სადაც ჯერ არს დაასმინოს და ხიფათს თავი დაახწიოს. მაშ შეუდგები ჩემს მოღვაწეობას... (ჩვენში ხომ ვისაც ორიოდე სტრიქონი დაუბლაჭნია, ყველას საზოგადო მოღვაწეთ და ქვეყნის მხსნელად მოაქვს თავი!...)


ჩიტი რეკია „მოღვაწეებზედ“ რა მოგახსენოთ და ნეტავი ვიცოდე მკითხველი რა აზრისაა და ან თუ რამდენად თანაუგრძნობს ჩვენი ინტელიგენციის ერთ ჯგუფს, რომელიც... გადასახლდა რუსეთში, როგორც ამბობენ, იმ მიზნით, რომ იქ გამოსცეს ქართული გაზეთი, „რადგანაც საქართველოშიო რუსულ გაზეთს უფრო აქვს გასავალიო“. (ერთი მხრით ჰკუაზედ მოსასვლელი აზრია: შეიძლება იქ ქართული გაზეთს მეტი მკითხველი ჰყავდეს, ვინაიღვან, ბოლოო წლებში, იქით გახიზნულ ქართველთა რიცხვი, ბევრით აღარ ჩამოუვარდება ჩვენში დარჩენილთ).

ჩვენში რომ გასავალი ეხლა აღარც რუსული ასოებით დაბეჭდილ გაზეთებსა

აქვთ, ეს იქიდგანაცა სჩანს, რომ ამ ახლო ხანში, მატერიალურ უილაჯობის გამო მოხდა ისეთი მუშტებიანი, უკაცრავად, კომპრომისიანი შეერთება ორე მოკიშვე გაზეთისა, რაზედაც ქათმებმაც კი სიცილით კაკანი მორთეს და ხაჩატუროვების მიერ დაქირავებულმა ფინიებმა წკავ-წკავი ასტეხეს. ყველა-ყველა, მაგრამ გაზ. „ტფ. ფურცელიც“ რომ სხვა გაზეთს უპრინციპობას უკიფინებდეს, მალალ ზნეობაზედ და რამე გვარ გარკვეულ მიმართულებაზედ ლაპარაკობდეს,—რატომ ღმერთს არ გვეცინება! მახლასო,—ასრეთი შემთხვევისათვის უთქვამს არწრუნის და თვალეზი დაუხუჭავს.

ჯერ თვალეზი არ დაუხუჭნიათ ქ. შ. წ. კ. საზოგადოების გამგეობის წევრებს მაგრამ არც დიდი სიფხიზლის ნიშნები ეტყობათ. გამგეობის ზოგი წევრი სხვამ ჩამოაცალა, ზოგი კიდევ, იმის შინით, რომ უმფროსებს ცუდი თვალით არ შეეხედნათ და ჩინი არ მოეკლოთ (თვალეზში კი არა,—მხრებზედ!) თვითვე ჩუმ-ჩუმათ გაიპარნენ; მცირედი რიცხვი დარჩენილ წევრებისაც „დასკუჩნავდა“ და ამიტომ, რა გასაკიცხია, რომ აკაკის იუბილეზედ შემოწირულ ბალიშზედ თავი მიდეს და მიიძინეს...

ძილზე რა მოგახსენოთ და სააქაო ცხოვრება რომ ჩვენს ქალებს დარჩენიათ, ამის ერთ ტრაგიკომიკურ მაგალითს მოგახსენებთ და ამ ჯერათ ამითვე გავათავებ, თორემ, ამბების გაქიანურებისათვის, 15 რედაქტორში კაცმა რომლის წყრომას გაუძლოს!.. ვასულ თვის ჯამაგირს ცოტაოდენი გროშები გადავარჩინე; ნახევარ საჯენ შეშის ყიდვას ვაპირებდი, რომ, ცოლ-შვილის პატრონს, სადგომი ბინა დღე გამოშვებით მაინც გამეთბო. მაგრამ ჩემმა ცოლმა გადაჭრილი ალერსით მითხრა (ვენაცვალე ტკბილი ცხოვრება გვაქვს!..), რომ სიცივითაც ამოვწყდეთ მე უახალ-შლიაპათ დარჩენა აღარ შემიძლიაო. მე საპასუხო რაღა მქონდა! (მით უმეტეს, მე მოტრფიალე ვარ მყუდრო ოჯახურ ცხოვრებისა!) ეგეც არ იყოს, ქართული თქმულება ამბობს: ქმარი ცოლისო... არა, უკაცრავად, მე სხვა თქმულებაში—სტუმარი მასპინძელისაში—ავრიე, მაგრამ ეს სულ ერთია,—რა განსხვავებაა!.. წაველით ბატონო და მთელ ქალაქში არ დარჩენილა არც ერთი შლიაპის მალაზია, რომ ჩვენ არ შეგვევარა (ეს იმით აიხსნება, რომ ჩემ ცოლს მეტად, ძალიან მეტად აქვს განვითარებული ესთეტიური გემოვნება!..—მკითხველო ყური მათხოვე; ჩემ ცოლთან კი ნუ რა გრჯის და იცოცხლე, რაც იმ დღეს მე გოგოები დავათვალეიერე და თვალს წყალი დავალევიენე!..) ბოლოს, როგორც იყო, ვიმოვენეთ ჩემი ცოლის გემოვნების, ახალი მოდის შლიაპა. რახან ჩემს ცოლს მოეწონა, ხი,-ხი,-ხი!—რა თქმა უნდა მეც მომეწონებოდა!.. სახლში გოლოვინის პროსპექტით დავბრუნდით და გზაში თუ ვინმე შეგვხვდებოდა,—ან ის უნდა გადასულიყო ტრო-ტროდგან ქუჩაში, ან მე, რადგანაც—ხე-ხე-ხე! როგორც მოგეხსენებათ, ცოტაოდენი ფართო შლიაპები შემოიღეს. სახლში კი მშვიდობით დავბრუნდით, მაგრამ ვერაფერი გვეშველა და შლიაპა ჩვენ ვიწრო კარებში ვერ შემოვტიეთ. მეტი რა გზა იყო, ეხლა ეზოში ცალკე ფარდული გავაკეთებინეთ და შლიაპას იქ ვინახავთ. ეს ყველა არაფერი, იმ ოხერმა ქათმებმა გააჭირეს საქმე! მე თუ ისინი სულ არ ამოსწყვიტე, არ იქნება! იმ გასაოხრებლებს, ხანდახან საქათმის გზა ეშლებათ ხოლმე და... მაგრამ ამაზედ შემდეგ იყოს.



**ბინდია.** (დგება) რით დავიმსახურე, დედოფალო, შენი წყრომა. მართალია, ჩვენ ჩვეულების საზღვარს გადაველ, როდესაც აქ ვიახელი და ესე პირის-პირ ვიწყე შენთან ლაპარაკი, მაგრამ აკი განსაკუთრებულ საჭიროების დროს ზოგ წარჩინებულებს უფლება გვაქვს შენთან, დედოფალო, მოვიდეთ და ჩვენი შეჭირვება ვამცნოთ.

**სურათა.** მით უფრო მაშინ, როდესაც საქმე სიყვარულს შეეხება... ხა, ხა, ხა! რათ არ ვაგახსენდა ის ძველი ჭეშმარიტება, რომ ლამაზები მუდამ ერთი მეორის შურითა ვართ აღესილი. მაგალითად მე ძალიან მწყინს, როდესაც ნაზი-ბროლა ეგრე გატაცებით მოსწონთ ხოლმე... თუ აქამდის გისმენდი, მინდოდა შემეტყო შენი მისდამი გრძნობის სიღრმე-სიგანე. ეხლა კი ვხედავ თუ სანამდის შეგიტოპნია..

**ბინდია.** დედოფალო!

**სურათა.** ნუ მაწყევტინებ! ყოველი ნაზი-ბროლას გამარჯვება ჩემი დამარცხებაა, ყოველი მისგან დაპყრობილი გული მთელი ჩემი სამტრო ლაშქარია, მხოლოდ თუ ეხლა რამ მახარებს ის, რომ ერთი საუკეთესო სარდალი ამ ლაშქრისა ჩემს ფეხს-ქვეშ ემხოება და შველას ჩემგან მოითხოვს...

**ბინდია.** დედოფალო, მე მოვედი შენთან, როგორც დედოფალთან...

**სურათა.** და არა ქალთან!... თავხედო! რათ არ იცი, რომ ქალის გულის შეურაცხება ყოველ ხარისხის შეურაცხებას აღემატება... (საბრაზე კრეკვა) ოო, მძულხართ ყველანი! ვაშა კაცები პირფერნი ხართ მანამდის, სანამ ეგ თქვენთვის საჭიროა და სულ არ იცით თუ რას ნიშნავს მომწიფებული ქალის გრძნობა! ეს ცეცხლია ერთობ ჩამთქმელი, თქვენ კი ამ ცეცხლს გაუბრბით და ნაზი აღის მოჩვენებული მხურვალეობა ვიპყრობსთ. თქვენ აჩრდილსა სცემთ თავყვანს და ხორც-შესხმული, ნამდვილი, ხელ-მოსაკიდი ბედ

ნიერება კი უარ გიყვიათ. აბა, რა არის თქვენი (მწარე ირწინით) მოწინებულობა-ზი-ბროლა თუ არა აჩრდილი ჩემთან შედარებით?! ასე იყო ზენისიცი... ასე შეიქმენი შენც! ორივენი ნაზი-ბროლამ მთგნობლათ და გაგიტაცათ... არა, სწორედ მაგ ქალს რაღაც ჯადო აქვს, თორემ უზენაესო... ჰმ! რა შედარებაა!

**ბინდია.** შენს მახვილს კკუას ვინ წინააღმდეგება, დედოფალო!.. ვიცი, რომ მცდი ეხლა და ჩამოკრულებით გინდა გავიგო თუ ჩემი კადნიერება სანამდის მიაღწევს, თორემ ესე რომ არ იყოს ვიცოდე, მეც მოგახსენებდი იმას, რასაც ვგრძნობ...

**სურათა.** (ეშხათ) რასა გრძნობ? შეგიძლია პირდაპირ ილაპარაკო.

**ბინდია.** არ შემრისხავ?


**სურათა.** მე სამართლიანიც ვარ, როცა მინდა

**ბინდია.** მმ... შიმუნვარებს ხომ არას დასაქმებთ, დედოფალო?

**სურათა.** ხედავ იმ ქანდაკებას? ყველაფერს ხედავს და ისმენს, მაგრამ უძრავია და უტყვი.

**ბინდია.** (ნიშნათ მორჩილებისა თავს დახრის) მე იმას მოგახსენებთ, რომ ჩვენი მთავარი ღირსი არის სიყვარულისა.

**სურათა.** (აფეთქდება, მკვამ თავს შეიკავებს) კარგი! გულ-ახილობა გულ-ახილობისათვის! იცი, რომ მე ჩემი ქმარი მიყვარს თავ-დავიწყებამდის, რომ მზათა ვარ მას შევწირო ჩემი სილამაზეც კი. რაა სიკვდილი! მე მზათ ვარ მისთვის ჩემი პირი-სახე, სხეულიც კი დავიმახინჯო. აი რა ზომამდის მიყვარს მე იგი. მაგრამ ეს ჩემი გრძნობა ისეთა ღრმაა, რომ მუნ სხვა ვინმე ვერ შესცურავს. მხოლოდ სულ სხვაა ეს სიყვარული! ეს თავყვანის ცემაა კერპის წინაშე! ღვთიური სასოება! მე იგი მიყვარს ისე, როგორც თავის სალოცავი უყვართ და იმავე ჟამს ისე როგორც თავის ბავშვი უყვართ. აქ შესკვნილია სარწმუნოებრივი და დედობრივი სიყვარული.



ის უბრალო გასათქერი როდია და ქვენა-გრძნობებით, ან გულის-თქმით ასახსნელი, მაგრამ ეს იმიტომ რომ ჩემს თვალში ესეთია მისი პიროვნება: მეტათ სუსტი და ნაზი ხასიათის, მაგრამ ჰაეროვანი, თითქო ხელ-მოუკიდებელი. თუმც იგი იმავე დროს ვაშა კაცია, სრული ვაშა კაცი და თანაც, ვით უწყი, დიდი მოტრფიალე განცხრომისა, მაგრამ მე მაინც მას ვით უფროსი და უმცროს ძმას, ან ვით დედა თავის თვალის ჩინ პირმშო ვაქვს ისე დავცქერი... აქ ჩემში ქალი თავს იხრის უფრო უცხო გრძნობის წინაშე, ამიტომაც თვით თქვენის შეხედვითაც, ჩემო გამკიცხველნო, არა ვარ გასამტყუნარი. იქ ხომ განყენებული გრძნობაა, აქ კი ქალი მაინც დარჩა, მაშასადამე ეს ქალი თხოულობს ნეტარებასა... ამას ვერ მიხვდა, ზენის.., ვერ მიხვდი შენც.

**ბინდია.** უეჭველია დიად ბუნებას ყოველივე დიადურათ სურს მოაგვაროს. მე კი, დედოფალო, სადა კაცი ვარ.

**სურათა.** მართლაც, თავხედო! ეს კი სწორედ მეტის მეტია!.. კმარა ლაყობა, გამეცალე!

**ბინდია.** (თავს უკრავს) დედოფალო, მე ხომ შემომწყყერ, მაგრამ მას მაინც ნუ იზამ, რომ ნაზი-ბროლა ზენისს წაყვეს. ამითი შეირყევა სახელმწიფო კეთილდღეობა.

**სურათა.** (ძლიან ადეფებუფია, თავს ძლივს იკავებს, მაგრამ მაინც დირსეუფათ.) სახელმწიფოს კეთილ-დღეობაზე ზრუნვა ჩვენ თავის დღეში არ მოგვიშლია.

**ბინდია.** (სახეზე იმედის სხივი გადაეფიხება) გონიერო, შენ უკეთ უწყი ყოველივე. (სურათა ბინდიას ანიშნებს რომ წავიდეს ბინდიაც იმალება ქანდაკების საიდუმლო კაზებიში, სურათა ადეფებუფი გაიფლ-გამოაფლის. თანდათან მშვიდდება, მაგრამ მას სხეს მკაცრი გამომეტყველება მაინც აშხნევია.)

**სურათა.** (მაუზის შემდეგ მახსლება:)

დამიძახეთ უშუყ-ვეზირს, ის ეხლა აქ, მისაღებ დარბაზში იქნება. (სურათა მახსლე გავარდება. სიხუშე. ისმის მხლოდ შადრევანის წანწყარი. შემოდის მახსლეისთან ერთად უშუყ-ვეზირი. — გამხდარი, ხმედი, ბუტებში ცოტა წახიდი. გამხსუნებუფი, გაცრეციდი სხეს; წვერები, თმა, ტანისამოსიც მტკერის ფერი. შემზანავი კიდეა ღამ:რავი, ლაქუცა და პირმოთნე. განკრძლეით დაუკრავს თავს დედოფალს და შორი-ახლო დადგება.)

**უშუყ-ვეზირი.** გებრძანებინათ ჩემი დაცხება?

**სურათა.** დიად, მჭირდები... დღეს უსათუოდ უნდა გადაწყედს ნაზი-ბროლას გათხოვების საქმე.

**უშუყ-ვეზირი.** ამისთვის მიღებულია ყოველი ზომა, მხოლოდ ერთი რამე მათქრებს.

**სურათა.** რა, ან ვინ დავიდგება წინ? **უშუყ-ვეზირი.** თვითონ მთავარი, დედოფალო!

**სურათა.** როგორ?

**უშუყ-ვეზირი.** მე მათქრებს, რომ მისის დიადის გულ-კეთილობით კვლავ ერთხელ არ დათმოს და არ აუსრულოს მის დას სურვილი... ხომ გაგიჟებით უყვარს!..

**სურათა.** შენა გგონია?! ცოლი კი როგორ უყვარს.

**უშუყ-ვეზირი.** როდესაც კი ჩვენ ამ სიყვარულს ვენდეთ, არასოდეს არ მოგტყუებულვართ და გაგვიმარჯვენია, მაგრამ არის ისეთი წუთიც მთავრის ცხოვრებაში, რომ მის ამოყინებას მგონი ველარავითარი ძალი ველარ დასძლევის... მერე კიდევ ეხლა! ყველა ამ მოძრაობისაგან ისე მოხიბლულია ჩვენი სათაყვანო მთავარი, რომ მეტის-მეტ სათავისუფლო გუნებაზე დგას!.. ამ ბოლო ხანებში ხომ განსაკუთრებით ქორწინების თავისუფლების შემდეგ, ძლიერ ვადახარა მისკენ სასწორი.



**სურათა.** შენ ჭკვიანი კაცი ხარ. მართალია მე არ მომწონდა თავის დღეში შენი მიხვეულ-მოხვეული მსვლელობა სახელმწიფო ასპარეზზე... ზოგჯერ გაგვიბრებივარ კიდეც, მაგრამ შენი გონებისა და... გეწყინოს თუნდა... მეძებრულ ნიჭის წინაშე კი, თავს ვიხრიდი მუდამ.

**უშუყ-ვეზირი.** (თავს იკატუნებს. ირინიათ) არა ღირს ვარ, დედოფალო! მე მუდამ თქვენი და სამშობლოს ერთგული..

**სურათა.** ხმა! სამშობლოს ერთგულებაზე სიტყვა არ დასძრია. ხომ იცი, რომ მე კარგათ გიცნობ: შენ მუდამ საკუთარი ერთგული იყავი, მაგრამ ეს იყო შენი ღირსება, რომ სიკვდილის ხელოვნებით ჰმოსავდი ამ საკუთარ, პირად ანგარიშს საზოგადო კეთილ-დღეობის თვალმომჭრელ ტანთ-საცმელში!..

**უშუყ-ვეზირი.** (ამრეზილი ღვას.)

**სურათა.** ჰო და თუ მე ვახსენე შენი ჭკუა, შენი მეძებრული ნიჭი, იმიტომ რომ ამ შემთხვევაში—დაგეჯერება. მაშ შენ ამ საკითხში დიდ ბრძოლას გრძნობ, დიდს შეჭიდებას?.. ჰა, ეს მენიშნა და ამიტომ მართლაც, რომ მზათ უნდა ვიყვეთ.

**უშუყ-ვეზირი.** ჩემი აზრიც სწორეთ ეგ არის, დედოფალო, რომ დიდი ბრძოლა დაგჭირდება.

**სურათა.** (ფიქრში) ო, ზენის, ზენის! ჩვენ კიდეც შევხვდებით ერთმანეთსა..

**უშუყ-ვეზირი.** (წბიერათ) დიდს იმედს იძლევი, დედოფალო! ეხლა კი ვატყობ, რომ თქვენი ძალის წინაშე მან თავი უნდა დახაროს.

**სურათა.** (მოიღუშება.) ნუ კანდიერდები, ხავსიანო! საცა შენ არავინ გიწოდს, იქ შენ გარევა მხოლოდ სანანური მოგიხდება. ჩვენ მარტო მანამდის უნდა ვიბრძოლოთ ერთად, სადაც შენ შენი ხარისხი და მე ჩემი მოვალეობა გვიწევს.

**უშუყ-ვეზირი.** (თავისთავის.) დიად,

მოვალეობა აღტყინებულ ქალის გრძნობისა.

**სურათა.** რას ბუტბუტებ?

**უშუყ-ვეზირი.** შენ გულთა მხილავი ხარ, დედოფალო!

**სურათა.** მაშ დღეს უთუოდ იქნება თათბირი?

**უშუყ-ვეზირი.** დიად, დედოფალო! თათბირი დღეს იქნება და მერე ისიც აქ, თვით მთავრის დარბაზში. ქურუმთ-ქურუმიც მოწვეულია და თუ ვინმე გვიხსნის განსაცდელისაგან ისევ თქვენ, დედოფალო, და ქურუმთ-ქურუმი.

**სურათა.** მთავარი კვლავ საწოლშია?

**უშუყ-ვეზირი.** არა, სასეირნოდ წაბრძანებულა.

**სურათა.** ოჰ, უზენაესო! რა გაუფრთხილებლობაა... აკი მიტომაც არ შემოვიდა, არ გამიკვირდა?.. მერე რატომ თან არ ახლავხართ? ან ვინ გაატანე?

**უშუყ-ვეზირი.** მე არ ვახლდით, დედოფალო! ისე აღრე მოესურვებინა წაბრძანება. ხუმარა ლუკლუკა ახლავს თან.

**სურათა.** ა, ეს ჭკვიანი, მახვილ-გონიერი ფინია?!.. მერე როგორ მოგივიდათ?.. გზაზე რომ ვინმე შეხვდეს ისეთი კანდიერი და შეაწუხოს თვისი მოურიდებელის თხოვნითა და ლაპარაკით? არ იცი რა სათუთი და ჩვილი გულის პატრონია? განა ასე უფრთხილდებით მის სულის მშვიდობას?.. აი თქვენი ზრუნვა... ო, მე რომ ჩემი ხარისხი არ მიშლიდეს...

**უშუყ-ვეზირი.** ნამდვილი პატიმარი იქნებოდა, დედოფალო!..

**სურათა.** ნუ კანდიერობ!

**უშუყ-ვეზირი.** რა ვუყოთ, ცოტა გაიაროს, დედოფალო! საშიშარი არაფერია! მერე კიდეც, თუმც ვიან იყო, მაინც ასიოდე კაცი აღმასის სანათურებით უკან დავადევნე...

**სურათა.** მაშ სულ უმხლებლოთ იყო წასული! უზენაესო!.. ეს რას გავს, უშუყ?... უშუყ!... კარგათ ვიცი, რომ შენ

საითაც ქარი მოვიქრის, იქით მობრუნდები ხოლმე, მაგრამ... ნუ თუ ისე ძლიერია ეს ახალი ქარი, რომ უკვე მიგაბრუნა... მაშ რას ნიშნავს ეს შენი უტოლინარობა? შენ, რომელმაც ყოველივე ისიც კი, რაც არ უნდა იტოლდე, მუდამ ყველაზე წინ იცი ხოლმე... ააა, აქ რაღაც ამბავია... მაგრამ ამას ვერ დავიჯერებ... არ დავიჯერებ... (უშუყს ცბიერი დიმიდი დაჭქრის ზირზე.) გასწი, გასწი ეხლავ, თან დაედევნე, თუკვლავ დაგრჩენია შენი პირადი სარგებლობის შეგნება მიანც...

**უშუყ-ვეზირი.** დედოფალო! არა უშავს-რა, ტყუილა ღელავთ.

**სურათა.** არა გული რაღასაც მიგრძნობს. გასწი-მეთქი, თორემ არ იცი, ცბიერო, ერთის დაკვრით მიწასთან გავასწორებინებ შენს თავს!

**უშუყ-ვეზირი.** (აიძრისება მორჩილებით) გიახლებით, დედოფალო! (შიდის, ცბიერათ.) ეს კიდევ ვინ იცის მიწასთან ვინ გასწორდება!... (მივა გასასვლელთან და უცბათ შემოტრიალდება იქიდან ხრიალი მოისმის. დედოფალო! ავერ თვითონაც მობრძანდება. სურათა სინარუფის შუქ-გადაფენილი მიემართება მისკენ. შემოდას, მთავარა ძვირფასათ მორთული. ახალ-გაზდა, ფერ-მისდილი, გამხდარი კაცია. თვალები მეტის მეტი ღმობიერი აქვს. მთელს საქციელსა და მიხვრა-მოხვრას სინახისა და სანთების ბეჭედი აზის ამ ჟამათ ნაღვლიანათ გამოიხედება. ეტყობა რაღაც ძლიერ აწუსებს. თან მოსდევს ხუმარა, ლუკალუკა, რომელსაც თითქმის უდრდელი სახე აქვს, მაგრამ ღრმა სევდის კვალი შებღს დარათ ამხნევიან. საქციელი სიცილის გამომწვევი, მაგრამ მეტათ უბრადო და სდა. თავს ძაღას არ ატანს, ისეა მისი სიტყვა და მიხვრა-მოხვრა შემაქრევარი. მასხრულათ აცვია. სურათა მიეგებება მთავარს, დაისრება და კალთას უკრცნის.)

**სურათა.** ჩემო სალოცაო! (მთავარი ხელს კიდებს ზევით ასწევს და შებღზე ეამბორება. სიხუმით მადის წინ და მიძიგთ

ჩაეშვება მარცხნით ქანდაკებისთან მდგარ სავარძელში. კარის კანნი, რომელნიც მასთანვე შემოვიდნენ, ესმარებთან. ზოგი ფენის ბაღიშს უსწორებს, ზოგი სავარძლისს, სხვები ვუქლანი დგანან.)

**უშუყ-ვეზირი.** (ერთს კარის კაცს.) რაზედ ბრძანდება ვგრე დაღრევიით?

**კარის-კაცი.** გზაში ჯურღმულში მომუშავეს შეხვედრია.

**უშუყ-ვეზირი.** აა! (სახეზე მორჩილებას გამხატავს.)

**მთავარი.** მარტო დამტოვეთ. (სურათა არ მიდის. სხვა ვუქლანი გაიკრიფებთან გარდა ლუკალუკასი, რომელიც მათ მისდევს.) ლუკალუკა, შენ დარჩი!

**სურათა.** მეც აქ ვიქნები, თვალის ჩინო.

**მთავარი.** (ღმობიერათ, თითქმის ხვეწნით.) ნუ, ჩემო კარგო! მერე, მერე! (სურათას უსიამოვნება გამოხატება სახეზე, მაგრამ მაინც მორჩილებით თავს უკრავს და გადის, მოახლეები თან მისდევენ. სიხუმე. მხედოდ შადრევანის წანწკარი მოისმის. ლუკალუკა მიდის შადრევანთან და თითქმის ეადერსება: ხან ჩამოვდება მის გაღვანზე, ხან გადაეუდება, ხან ქვევით მიუჯდება. საერთოდ დიდის სიევარუდით შესტქკრის ხან შადრევანს, ხან მთავარს.)

**მთავარი.** (ფიქრში, თითქმის თავისთვის.) რა ყოფილა! რა ყოფილა!... შენ დაუკვირდი კარგა?

**ლუკალუკა.** ვისა, საცოდავო?

**მთავარი.** იმ ჯურღმულში მომუშავეს! ღმერთებო, რა უსამართლობაა, რა საშინელება!... (ზაუხა.) არა, დახე, რა ლაპარაკიც სცოდნია!..

**ლუკალუკა.** (უფლებს შადრევანის წანწკარს ჩუმათ, თითქმის თავისთვის.)

ლუკ-ლუკ-ლუკა  
 ლუკ-ლუკ!  
 ალაპარაკებს სიმართლევ,  
 რა კი შია და წყურია!

მუშაობს, მოგვცა სინათლე,  
მაგრამ თვით უბედურია.

ჩვენ კი აქ ვებრძვით ერთმანეთს,  
გვტანჯავს ერთ-ერთის შურია;  
მათ კი ვუხვევდით მუდამ გვერდს...  
რა ცუდი სამსახურია!..

ლუკ-ლუკ-ლუკ,  
ლუკ-ლუკ!

**მთავარი.** (ისევ ფიქრში.) არა, აქამდის  
რათ არ ვიცოდი, ხომ წინეთაც დავდიო-  
დი ჩემს სამთავროში?! რათ არ შემხვედ-  
რიან... ან რათ არ უთქვამთ ასე გარკვე-  
ვით ყოველივე?... ღმერთებო, რა უსამარ-  
თლობაა, რა უსამართლობა!..

**ლუკლუკა.** (წინ წამოვა.) გეტყვი ერთ  
იგავს, საცოდავო! ეგ ჩემი არ არის,  
გამიგონია, მაგრამ აბა ყური დამიგდე!  
(მთავარი შექანაყრათ თავს დაუქნევს, თუმცა  
ეტყობა, რამ მავის გუნებაზე ვერ ანის,  
სულ თავის ფიქრებს წაუდია. თანდათან კი,  
ჯუჯ-ჯუჯა სანამ უამბობს, მეტი ყურადღება  
დაუტყობა.) ერთხელ! ეს დიდი, უხსოვარი  
დროის ამბავია: შემოკრბენ თურმე, სადაც  
კი ცას ქვეშეთში, არა ამ ცის ქვეშეთში  
კი არა... (თაღზე უჩვენებს.) ჩვენ ცა არა  
გვაქვს!..

**მთავარი.** (ხაღვლიანათ და წყენით.) ო,  
ნუ მახსენებ ამ თალის ამბავს!

**ლუკლუკა.** ჰო, შემოკრბენ—მეთქი  
ყველა გამოქვამულები, ყველა ორმოები,  
ყველა ჯურღმულები...


**მთავარი.** კიდევ!

**ლუკლუკა.** დამაცა, საცოდავო!.. ყვე-  
ლა ქაობები, სადაც შალტამი და ლერ-  
წამის ტყე იმდენათ აჩრდილებდათ, რომ  
მზე ვერ აღწევდა მათდამი... დიად, მზიან  
ქვეყანაში მოხდა ეს ამბავი... ერთის  
სიტყვით შემოკრბენ ყველა დაჩრდილუ-  
ლნი ანუ ჩრდილოვანნი და... (გაწვეკტს,  
დამიჯიით შეხედავს მთავარს.) ჰა, ჰა, ჰა!  
როგორ შემოკრბენ ამისი კი რა მოგახ-  
სენო. მხოლოდ ესე ამბობს თქმულება...

(განაგძობს.) დაიწყეს თათბირი და ბჭობა  
თავის კირ-ვარამზე. ბოლოს-ბოლოს  
გამოიკრვა, რომ ყველას უმზეობა აწუნე-  
ბდა. იქაც იყვნენ თურმე მზის მადებარნი!

**მთავარი** (ხაღვლიანათ.) რა მწარე ენა  
გაქვს, ლუკლუკა!

**ლუკლუკა.** გამოიკვლიეს თითქო მი-  
ზენიც იმისი, რომ მზის შუქი არ ჩამო-  
დიოდა მათდამი. უმრავლესობამ ღრუბ-  
ლები სცნო დამნაშავეთ და დაადგინეს—  
დაეწერათ ყოველივე და მზისათვის მიერ-  
თმიათ თავიანთი საჩივარი. მართალია,  
იყვნენ იმისთანებიც თურმე, რომლებიც  
ღრუბლებს იმდენათ არ ამტყუნებდნენ,  
მაგრამ უმრავლესობამ მაინც თავისი გაი-  
ტანა და აი მიანდეს კიდევ ქარს მათი  
საჩივრის მზესთან მირთმევა. ქარიც თავი-  
სებურათ გასრიალ-გამოსრიალდა, ბევრ  
ორმოსა და გამოქვამულს ვადუკოცნა  
გულ-მკერდი, უფრო საპატიოებს, თქმა  
არ უნდა და გასწია მზისაკენ. მზეს... არ  
ვიცი, აგრევე განწესებული აქვს მისაღები  
დღეები, როგორც თქვენ ამ ქვეყნის დი-  
დებულნო, თუ არა, მაგრამ ეს კი ვიცი,  
ასე იყო თუ ისე, ქარი სიამოვნებით  
მიღებულ იქმნა მზის მიერ. წარბ-შეუხრე-  
ლათ მოისმინა ჩრდილიანების საჩივარი,  
მხოლოდ მის ოქროს-ფეროვან შარავან-  
დედს ცოტა დაეტყო თურმე ციმციმი.  
ეს შეიძლება სიხარულის გამოც იყო,  
რადგან მზემ გადასწყვიტა საკუთარის  
ფეხით დაეარა ყველა მომჩივანთა ბინა.  
ღრუბლები კი არ იყვნენ კარგ გუნებაზე,  
უფრო მოქურუხანდნენ, მაგრამ ცბიერი  
ლიმილი კი მაინც პირზე დაჰქროდათ. ეს  
ნათლათ ეტყობოდა მათ ნაჭერ-ნაჭერ  
ქცეულ ნაფლეთებს, როდესაც სისინა  
ქარი აგრე მოურიდებლათ ყურს ჩასჩურ-  
ჩულებდა. დადგა დღე და ეს უმველებე-  
ლი ცეცხლის ბურთი, მზე, ჩამოგორდა  
დედამიწისაკენ. მისი შარავანდელი, რა  
თქმა უნდა, თან ახლდა. სხივები ციმცი-  
მებდნენ, თრთოდენ და სულ ცეკვა-ცეკ-



ვით მოუძლოდენ ჯურღმულებსაკენ. ჯურღმულ-არმოთა პირები კი იოქვრებოდენ ამ წარმტაც შუქთაგან და ყველგან ეფინებოდა ცხადი ნათელი. მზეს გაუკვიდა, რომ ვერსად სიბნელე ვერ ნახა. მისივე ნათელი უშლიდა ბნელის დანახვას. გაჯავრდა, მსწრაფლ თავისკენ გასწია, თვის ტახტზე დაჯდა და თუ წინეთ ღრუბლების დასჯასაც კი ფიქრობდა, ეხლა სრულიად ხელი მიუშვა და სრული ნება მისცა, როგორც მოესურვებოდათ ისრე მოქცეულიყვნენ. ღრუბლებმაც არ დაახანეს ჟინის ამოყრა და თუ წინეთ უფრო მორიდებით იქცეოდნენ, ეხლა თურმე სულ გადაებარდნენ ქვეყნის პირს, ჯურღმულები კი, რა თქმა უნდა, უმისოთაც ისევ ისე ჩაბნელებულნი იყვნენ... ჰა—ჰა! მათ არ იცოდნენ და არც ქონდათ იმის შეძლება, რომ ჩვენსავით აღმასებითა და სხვა ლითონებით გაენათებიათ თავიანთი თავი. ეს მარტო ჩვენი მღვიმის ჰენიამ შესძლო. ეს განსაკუთრებული ჩვენი კუთვნილებაა!..

**მთავარი.** მერე ამ იგავით რა გინდოდა გეთქვა?

**ლუკლუკა.** ეგ მე რა ვიცი! მე ხილი მოგართვი, შენც იხილე! მე მხოლოდ ვყვივი, გათენება თქვენი, სხვების საქმეა!

**მთავარი.** თქვენ ყველამ ვერე იცით: მე მომიხსენებიაო და მერმე კი ყველანი ხელს იბანთ. აბა მირჩიეთ რამე ნათელი, ცხადი, როგორ მოვიქცე?

**ლუკლუკა.** მე გირჩიო? არა, ეგ ჩემი საქმე არ არის. მე მხოლოდ სიცილში გამოგიტარებ მწვავ სურათებსა. მე მხატვარი ვარ, რომელსაც მაციანებს ამ სურათთა არარაობა, მიმართულება, გზის გაკვლევა კი სხვების საქმეა. განა მრჩევლები გაკლია?

**მთავარი.** საქმეც ეგ არის, რომ არა, მაგრამ აკი თურმე სულ სხვას ამბობენ, სულ სხვას. მე ვგრძნობდი ამას, მუდამ, ყოველთვის, — რომ სიმართლე დამალული

იყო, მაგრამ სად და როგორ, ვერ გამომეცნო. არც არავინ მითხრა! **ლუკლუკა.** სიმართლე?.. შორს არის, საცოდავო!

ლუკ-ლუკ-ლუკ,

ლუკ-ლუკ!

ზოგი ამბობს ცაშიაო,  
ზოგი ქვესკნელს იჩხრიკება  
სიმართლე კი ისევ ისე,  
საცა არის იქვე რჩება!

ვინც მიაგნო, იმანაც კი  
ხელში ველარ დაიჭირა —  
სასხლეტი რამ ყოფილაო! —  
მან საჯაროთ გაიკვირა.

და მას აქეთ ეს სიმართლე  
ყველგან არის, არსად კია,  
თუმცა კაცმა მის ძებნაში  
ბევრი სული ხრაკა კია.

ლუკ-ლუკ-ლუკ,

ლუკ-ლუკ!

და ამიტომ სიმართლე შორია, საცოდავო!


**მთავარი.** არა, ეხლა კი ვიცი სადაც ყოფილა — ხალხში. ტანჯულებსა და დაჩაგრულებში, უსწორ-მასწორობაში. მერე აქამდის რათ მეგონა, რომ ჩემს სამთავროში ყოველივე კარგათ იყო გარიგებული. რომ თხა და მგელი ერთგან სძოვდენ.

**ლუკლუკა.** ეგ აბა რა შედარებაა!? ჩვენში ხომ არც ერთი პირუტყვი, არც შინაური და არც გარეული, არ იზრდება? უმზეობა რომ უშლისთ აქ მოშენებასა?.. შენი მშველიც, მზიან ქვეყნიდან რომ ჩამოვიყვანეთ, იმსხვერპლა აქაურმა თალ-შეკრულობამ.

**მთავარი.** ო, ნუ გამახსენებ!

**ლუკლუკა.** აქ თავგები ხეირობს მხოლოდ, საცოდავო, და მისი მონათესავე ღამურები. ეს მათი სამეფოა.

**მთავარი.** (ფაქას წასუღია. ყუის არ უბადებს, განცხადებებით.) ო, რა მშვენიერ



რება იყო ჩვენი ნადირობა! გახსოვს მზიან ქვეყნის მეფეს რომ ვეწვიეთ, რა ნადირობა გავვიმართა! რა მხეცები ენახეთ, რა ალაგები. მზის წარმტაცი სხივები როგორ მომხიბლავათ აფერადებდა მიდამოს...

**ლუკლუკა.** (დაცინებით.) გადაუხვიე, საცოდავო?! ვაი შენი ბრალი, შენ მოუტან სიკეთეს ქვეყანას?

**მთავარი.** (ბავშურათ ნაწყენი.) აახ, ლუკლუკა! აბა რა ვქნა, რომ მე მინდა განცხრომა, მე მინდა ნეტარება! მაგრამ მარტო მე კი არა... ყველა, ყველა სტუმბოდეს ცხოვრებით, ყველა მადლიერი იყვეს თავის ბედისა! ლუკლუკ, ლუკლუკ! რათ, რათ არ არიან ბედნიერნი? რათ არ არიან ყველანი კმაყოფილნი?

**ლუკლუკა.** ამ სიბნელეში ბედნიერება არ შეიძლება!

**მთავარი.** (წამოვარდება და ადეჯგუბუჯი გაიფლ-გამოიფლდის.) ახ, ლუკლუკ, გასწი, გამშორდი! შენც კიდევ ტყუილ-უბრალოთ მიდაგავ ტვინს!..

**ლუკლუკა.** (მოიკუნჩხება შადრევანთან და თავისთვის ლუკლუკებს.)

ლუკ-ლუკ-ლუკ,  
ლუკ-ლუკ!  
ზოგს ეს უნდა. ზოგს ის უნდა,  
ყველას ერთათ ნეტარება,  
ზოგი სულ მთლად დაძაბუნდა,  
ზოგს სიცოცხლეც ეზარება!

მე რა მინდა?.. ჩემთვის ჩუმათ ვილუკლუკო, ცრემლი ვღვარო და სხვები კი სულ ვაცირო, მაგრამ არვინ გავახარო!..

ლუკ-ლუკ-ლუკ,  
ლუკ-ლუკ!  
შემოდის **ნაზი-ბროლა** და ჩეჯა მიეხარება ადეჯგუბუჯათ მიმამაჯადს ძმას.)

**ნაზი-ბროლა.** ჩემო კარგო!

**მთავარი.** ოჰ, შენ ნაზი-ბროლა?

**ნაზი-ბროლა.** რას დადიოდი ვგრე გაცხარებული?

**მთავარი.** გამახელეს, ჩემო პატარა... (თითქმე წურამით, მაგრამ ღმობიერა დაიმიჯიც დაჭქრის ისე, გადახედავს შადრევანთან შაბუხუჯს ლუკლუკას.) ეს ქვეიანი ფინია, როგორც სურათა ეძახის...

**ლუკლუკა.** (წინ წამოაწევს.) ნუ მეძახი ფინიას, საცოდავო! მე არავის არ ვულოკავ ფეხებს. მაგას თუ შენი ცოლი სურათა ამბობს, იმას მიეტყვება, ის დაჩვეულია ფეხებზე ემთხვეოდენ. ის იმ მზიან ქვეყნის ქალია, სადაც ჯერ კიდევ ფეხის ლოკვა არ გადავარდნილა.

**მთავარი.** (ფიქრში.) მაშ მონობა იქაც არის?

**ლუკლუკა.** იქაც, საცოდავო, მაგრამ იქ სამაგიეროთ მზეა, მზე გაჩაღებული, რომელიც თვით მონასაც იმედს უცხოველებს გულში საუკეთესო მომავლისას. ჩვენში კი, საცოდავო...

**ნაზი-ბროლა.** ოოხ, ლუკლუკა, გააჭირე შენც! რა დაიქინე ეს „საცოდავო“? ნუ თუ სხვა სიტყვა არ მოგეძებნება?

**ლუკლუკა.** ჰმ... მთავრის ასულო, სხვა სიტყვა! მერმე განა არის სხვა ეგეთი სიტყვა, რომელიც ასე სისწორით უდგებოდეს სინამდვილეს?! აბა რითი არის საცოდავი შენი ძმა?.. მერწმუნე, რომ საცოდავია... კაცი აღსავეს გულ-წრფელისა და კეთილის სურვილებით, კაცი ღმობიერი, კაცი სათნო, მაგრამ კაცი სუსტი, კაცი ვერას მომქმედი. კაცი მგრძობელი და არა მკეთებელი... ასეთი კაცი საცოდავია—ის გადაიჯეგება! მერე განა მარტო მაგას ვუძახი საცოდავს—თვით ჩემ თავსაც. აბა რითი არა ვარ საცოდავი! აარა, იმიტომ კი არა, რომ არა ვარ მეფე, არა ვარ მპყრობელი უსაზღვრო ქვეყნებისა. არა! ჩემში ძალაა, ძალა სიტყვისა, ძალა აზრისა, ძალა მხატვრული დაცინებისა, მხოლოდ ძალა ფრთებ-შეკვეცილი, უნიადავო, ძალა გამოუყენებელი—მაშ მეც საცოდავი ვარ. ახლა ავიღოთ თუნდ ზენისი... საცოდავი

არ არის? (ნაზი-ბროფას შეშფოთდება.)  
 თვისის მისწრაფებით, თვისის აზრებით,  
 რომელიც არ განუხორციელდება. საცო-  
 დაღვი არ არის თვისის ტანჯვით, იმითი,  
 რომ მას ვერ იცნობენ, ვერ შეიგნებენ?!

**ნაზი-ბროლა.** (მტკიცედ და ამაყთ.)  
 ტანჯვა აზრისათვის, ტანჯვა საუკეთესო  
 მომავლისათვის პირ-იქით საპატიო და სა-  
 ამაყოა. ამისთანა კაცს საცოდავი არ  
 დაეძახება.

**ლუკლუკა.** მე მაინც ჩემსას ვამბობ.  
 საცოდავი არ არის თვით ხალხიც, რომე-  
 ლიც შფოთავს და ღელავს, რომელიც  
 მზეს ეძებს, მაგრამ ვერ მიუღწევია, რომე-  
 ლიც ცდილობს, მაგრამ ფრთა ვერ გაუშ-  
 ლია, თავისუფლათ ვერ ამოიუსუნტჰავს  
 და კვლავ წელში მოხრილი ჯურღმულებ-  
 ში წერაქვსა სცემს...

**ნაზი-ბროლა.** საცოდავია შეიძლება  
 ეხლა თავის მდგომარეობით, მაგრამ საცო-  
 დაღვი არ არის მისი მისწრაფებით. იგი  
 თავისას გაიტანს და მაშინ ვნახოთ ვინ  
 იქნება საცოდავი!

**ლუკლუკა.** (თავისას განაკრძობს.) სა-  
 ცოდავი ხარ შენც, ნაზი-ბროლა, შენის-  
 სიყვარულით ზენისისადმი! საცოდავი ხარ  
 მიტომ, რომ სურვილი არ შეგისრულდება.

**მთავარი** (უჩვენათ მობრუნდება ხელებს  
 დაუჭერ ნაზი-ბროფას და თვალებში ჩაჩქერ-  
 დება, როგორ? გიყვარს ზენისი? (სიხუჰე).

**ლუკლუკა.** რა საცოდავები ვართ ჩვენ  
 ყველანი. საცოდავები, იმიტომ რომ თა-  
 ვისუფლები არა ვართ. სული არ არის  
 თავისუფალი. მონა—საცოდავია! ლუკ  
 ლუკ-ლუკ-ლუკ-ლუკ.

**მთავარი.** (ნაზი-ბროფას) რათ არ მი-  
 თხარი აქამდის?.. მერე ისიც თანავიგრ-  
 ძნობს?.. აი მართლაც შესაფერი მეუღლე-  
 ნი. . მერე რაღა გიშლისთ?! ქორწინე-  
 ბის თავისუფლება ხომ გამოცხადებულია?

**ლუკლუკა.** საცოდავო, მოციქულები  
 დაგავიწყდა?

**მთავარი.** ოხ, მოციქულები! ვინა ჰკი-  
 თხავთ? უარს შეუთვლი.

**ლუკლუკა.** მერე ქურუმთ-ქურუმი?  
**მთავარი.** აახ, ადამიანთ, რათ მამაწე-  
 ლებთ! ქურუმთ-ქურუმს რაღა უნდა?

**ნაზი-ბროლა.** რათ გავიწყდება, ჩემო  
 კარგო, რომ არსებობს საუფლისწულო  
 კანონებიც. ჩვენ ნები არა გვაქვს ჩვენს  
 ქვეშევრდომთ გავყვეთ ცოლათ და  
 აქეთ მოვიყვანოთ ვინმე მათგანი.

**მთავარ..** ოხ, ეს კანონები!

**ნაზი-ბროლა.** ქურუმთ-ქურუმიც სწო-  
 რეთ ამას შეგეცილება.

**ლუკლუკა.** და თვით სურათაც, დე-  
 დოფალიც...

**მთავარი.** (თითქმე მიხვდათ ეოველიყვს,  
 საშინდათ დაიფიარებს) ჩუმათ! (პაუზა. ონსე  
 შოვა. ისევე ღმობიერათ) ნუ გეშინია, ნაზი-  
 ბროლა! (გუფურეფილათ გაიცინებს). აი  
 ნახავ როგორ კარგათ მოვაწყო ყოველი-  
 ვე? ყველას შევარიგებ. ეს პირდაპირ ჩე-  
 მი საქმეა. შენ არ იცი რა მოხერხებულ  
 ვარ! ჰა-ჰა! როდესაც საქმე მშვიდობის  
 სამოგდებაზე მივარდება, ვერავინ მაჯო-  
 ჩებს... მერმე კიდევ ეს ხომ ისეთი მძიმე  
 სახელმწიფო საკითხი არ არის... ყვე-  
 ლას დავეყოლებ.

**ლუკლუკა.** (თითქმე ნება) ლუკ-ლუკ-  
 ლუკ, ლუკ-ლუკ!


სახელმწიფო საკითხები  
 და პირადი ანგარიში,  
 ურთ-ერთში აქვთ არეული  
 და არც არ-რის არ აქვთ შიში.

ქურუმთ-ქურუმს, უშუყ ვეზირს  
 და სურათას დედოფალსა,  
 რაც რომ უნდა ვინ მიხვდება,  
 ვინ გაუგებსთ იმათ კვალსა.

ლუკ-ლუკ-ლუკ, ლუკ-ლუკ!

**მთავარი** (უჯავრდება) ლუკლუკ! (შემო-  
 დის სურათა. შორი-ანდა მტკევებიან მახს-  
 ლეები. სურათა შეამჩნევს ნაზი-ბროფას და  
 ამაყთ გადახედავს. ორივენი ნაზი ბროფას  
 და სურათაც თვალით გამოზომენ ერთი მეო-  
 რეს. შადრევანი ჩერდება. სურთა ცივთ ში-  
 მართავს ნაზიბროფას.

(შემდეგი იქნება)



45. კანით კაცი მოვიდა მშურალი ცხენ-  
თა რბევითა:  
ფალავანთ თავთ, ისმინე, ჩვენ გაგვანარეთ  
სწევითა  
ღვთის ბრძანებითა ძე შენი, შირად გავსილი  
მზე ვათა  
და ფასკუნჯთა გვერდით გახდილთა ღომი,  
საროს ხე ვითა

46. სხვა ფალავანი მისებრი ხმელზედ არ  
გამოხრდიებისა,  
ვითამცა ცხადად ეოფილთა. ხამდელთა, ეუბნე-  
ბისა:  
სამახრებლთა გვიბოძე, ჩვენგან რა გეთხი-  
ბისა?  
და აწ აღსრულდა წადილი ღვთისაგან შენის  
ხეობისა.

47. ფალავანსა გაეღვიძა, ადგა, ათელი  
მოხიბლდა  
დიდი სულთქმა შემოქმედსა მადლი ჭკადრსა,  
რა მოეცა.  
ეს სიზმარი ცხადი იყო; ტირილითა კულავ  
ილოცა.  
და შემოედე ვარ, წყალობანი შენგან სრულად  
არ დაგვხიბლდა.

48. რა საწოლით გამოვიდა, კაკუხანი გაუ-  
ყარნა  
რანდ იხმო ფალავანი, სხანი დარბაზს შეი-  
ყარნა  
მათ უბრძანა ქვე დასხდომას ხასნი მუნა დაი-  
ჯარნა  
და რა უამბო მათ სიზმარი, ვითა ცხადივ,  
გაქარნა.

49. მადლი ჭკადრეს შემოქმედსა, ილოც-  
ვიდა ღმერთსა ეველსა.  
სამს ჭკადრეს: ბოძებითა მისით ღმერთთან  
გასახელსა,  
ედგა მისი საფარველი, უწყია, ახლას მან უშ-  
ველსა.  
შენ აწინე განგებასა ღმერთთან რისხვას დაგი-  
ძეულსა.

50. იგი ვაჭარი შემოვიდა, ფალავ სსა  
ძღვენსა სძნობდეს.  
მთახსენეს ნახვას მისი, იგი ხაღდახტასს ვერ

ინცხდეს სული  
სამს დიდად გაეხარეს, გულს სწევითა  
სხანთა  
თობდეს  
და მათ შესწირეს ღმერთსა მადლი, მხიარულ-  
ნი ნადირობდეს.

51. ბრძანა: სვალვე წავად ძებნად. სხანი  
იხმნა მუხებურნი.  
რა გათენდა, მათაბეს, დროშა უღერდა, ევი-  
რის სტვირნი.  
ხილოცედს გამოაბეს ბარგ კარვეები, სხილენ-  
ტურნი.  
და თხათასნი კარგი კაცნი წამოვიდეს მხი-  
არულნი.

52. მონადირობდეს, მიდიან ავაზითა და  
ქართთა.  
მიწისა შირსა ღებევენ, მხეცი მოკლიან შო-  
რითა.  
მის მთისა ძირსა მივიდეს, გავს ცასა შენსა-  
წორითა.  
და შემოზღუდვილი კლდეთაგან არ ნაკებია  
ეორითა.

53. მას მთისა ძირსა ტყე იყო ჩხერანი  
ისმნეს წყლისანი  
კლდის თავსა იდგენ დარბაზნი, ნაკებნი სამ-  
რუდისანი.  
ტურთად ნაკებნი, მადლნი, ვით დიდის ხელ-  
წიფისანი.  
და გვერდს წყარო გამოხდილთა სურნელი ვარ-  
დის წყლისანი.

54. სამი ნახს იქ ბუდენი, მადლი ჭკადრსა  
ღმერთს მრავალი.  
თვალნი ქონდეს, მას უნდოდა დაენახა, რომ  
ზაადი  
მთასა გარე შემოუვლეს გზა, ვერ ზოკეს შე-  
სვალნი,  
და ხელი ზირი დაიბანა, ღოცვა იწყო გულ-  
მართალი.

55. ღმერთსა დიდებო შესწირა ფალავრი-  
თა ენითა:  
მზე მთვარე ცა და ქვეყანა არს წყალობითა  
შენითა.  
შემინდვე, მე ბრძანებისა რაც შეცოდება ვქენითა  
და ტკბილად მომხედენ, ნუ მომკლავ ამისთა-



ნათა სენითა.

56. მე მიხვენე შეილი ჩემი ზირველ ჩემგან მოწყენილი, შენ ფასკუნჯთა შეავდრე საფარველით დაფარული.

მივეც მხეცთა შესაჭმელად, იყო ველთა გაბდებული. და მე მოვალ და მოვიძულე არის შენგან დარჩენილი.

57. ანაზდ მოვიდა ფასკუნჯი, მადლად ჰყარათა რებული. ჩრდილმან დაფარა იგი მთა გავს მზესა შუქ დაფარული საამ და მისნი დაშქარნი უჭვრეტენ გაკვირვებული და მან ვითა კაცმან დახედნა, სად ბუდე ქონდა გებული.

58. დაჯდა, უბრძანა ზაფხადსტანს ფასკუნჯურიითა ენითა. ძე დიდის ნარამანისი საამ ზის ცრემლთა დენითა, ტახტოსან გვირგვინოსანი, ნიმროზს ზი-შუქთა ფენითა; და მისი შეილი ხარ, იხარებს ნიმროზისტან-შენითა!

59. მისგან ეშინის ნიანგსა, თავს ვერ გამოყოფს ზღვისაგან აქამდე იყო წადილი შენი აქ ყოფნა დგომისგან ზის შეჭირვებით მას აქეთ შენისა გაკდობისაგან და მას ბევრი ჭირი უნახავს შენისა გლას ძებნისაგან

60. აწ ფაღვანსა მე მიგვერი, ყოფნა ნუ ხარ შეჭირვებითა. საქმე კეთილად მოხდება, კარგად იქნები ნებითა ზაფხადსტანის ჰატრონად ნიმროზს დაჯდები ქებითა და ჰატრონად უნდი, შენ მოგცემს ტახტსა, გვირგვინსა ნებითა.

61. ზაფხად უთხრა: მამა შენ ხარ და გამოხსნი ჩემი მზრდელი. შეილთა გვერდით გაგიზრდოვარ, არ მკლები მე საჭმელი.

ეს სამეფო მიხვევია, რომე მომიტყუა და ტახტ-გვირგვინი ფრთითა ჩრდილსა არის ჩემი მარხენელი.

62. ფასკუნჯმა სთქვა: განგებისა ცილებსა არ იქნებისა დაიცვა შენი შენახვა—იყო მისისა ნებისა. მამასა მიგვერი, შეგვედრენ,—ზაფხადსტანს ეუბნებისა და მე მიგცემ, დემრთმან მაცანა, არსებით ვინ იქნებისა.

63. დიდხანს იქნები დიდებით ეოველგანს სახელდებული. ერანის შარათათაგან ზატვიით შეწყვლებული. ნიერ ზის ზურგი მტერთანა შენ ზღუდე გამაგრებული და დაკეტილების, გიშველი, მოვალ ვულ გახურებული.


74. არ გეტყუების დღეისგან, რაც ჩემგან დაგეპირების, იქ დაწვი, მოკემ ნაკრტისა, რაც ჩემგან დაგეპირების, ფიცხლავ წამოვალ, ქართულად, მუხ ცხენი არ შეჭირვების და აქ მოგიყვან, არა ვიქ, შენ რაცა არ გეღირების.

65. დასჯერდა და იგი ზაფხადსტან ფასკუნჯისა შეჯდა ბელთა დფრინდა და აიყვანა იგი მადლსა მან ჰყართა ფაღვანთა ნათესავი თმა სხეტაკი სარკველია და ფთა მორჭმული ტყავი ეცვა ლომ ნაკვეთი ჰილას წელთა.

66. რა წამოვიდა, ჰყართა უჭვრეტენ გაკვირვებულნი, დემრთს ადიდებდენ ეოველნი—ვართი შენგან დაბადებულნი. სიმრული დაჯდა. ზაფხადსტან წამოდგა საროსებულნი. და ზირად მნათობი, თმა თეთრი, დაწვ-ლავი გაწითლებულნი

67. თეთრის თმითა დახურვილი, ბეჭ-ბეჭეული ლომ-ნაკვეთი. ეელსხვილია, ვითა მამა ნარამანის მონაკვეთი





საამ სიმრულს ეთაყვანა, მას მორჩილობს და კეჭირს, ფიცხლავ და წვიკეჭირს და სხანს დმერთს ადიდებდეს რა გმოსხურეთ ჩვენ ასეთი.

68. საამ სიმრულს ეუბნების: მადლა სუფევ ვითა შთავარე. დმერთმან აგრე თქვენ დაგლოცოს, დღეს ვით რამ მე გამახარე, ვითა დამხსენ შეჭირვებას, გამინათლე ცნობა ასე და შენ დაგლოცავ კურთხევითა, ვარ ამისი მოუბარე.

69. ჭკვიანი და გონიერი ხარ ეოვლითა სანატრელი. შენ აგეთი ზურგი ეეხარ, გამოუჩნდი წაადს მზრდელი და შექარნიცა დალოცვიდეს, ღვთის წინაშე ცრემლთა მღვრელი. და მერმე საამ მხარს აკოცა, კარდავლო ფრთას ხელი.

70. მერმე შეიღსა მოეხვია, მას თვალი, ზირი გარდუეოცნა. ვამდ გნახე. განგებამან, შეილო, ესე რა მეოცნა? რჯულ წმინდაო, ღვთის წინაშე მან სიტყვანი გაოცნა და ტახტ გვირგვინის შესაფერო, თვალთა ცრემლი მოიხოცნა.

71. საამ გავზავნა მოღარე. ბრძანა: აუვაუდეს იანი მიიღეს ტანისამოსი მათ, ქუდი გოვარინი შემოსეს, მოგვი ჩააცვეს, დგას ოქროს სარტყელიანი და თმანი უკანით შეენოდეს, მრავალ კეტსადებლიანი.

72. მამისა კაბა არ გრძელობს, ზადლანტან რამ გაუელურდა. დაწვთა შეენიან ხარვისნი, შხის შუქი გაუფერულდა ნახს ზაადის შეენება, ფასკუნჯი გამზარულდა და მარჯვენა მხარი გაშალა, ფრთა მოიგლიჯა ფარულდა.

73. წაადს მისცა და აუდრა, ქინდეს ესე ჩემუელად

და კეჭირს, ფიცხლავ და წვიკეჭირს და სხანს დმერთს ადიდებდეს რა გმოსხურეთ ჩვენ ასეთი. და უსათუოდ მოგესწრები, მოვედები ტეცხლი ველად.

74. წაად ეელსა მოეხვია, ენა ესმის ფასკუნჯური. ტირის, გაურა ეძნელების, გონება აქვს მას კაცური. მას სიმრულმა უთხრა რამე საუბარი მუნებურა და ნუ ნუსტირ, გული დააწყენარე, ტახტი გოჯობს ხელმწიფურა.

75. რა ფასკუნჯი გადაფრინდა, წაად ტახტსა აიეფანეს. გვერცა უხის მამა მისი, ზაუელენი ეთაყვანეს. მადლი ჭკადრეს შემოქმედსა, მზარულთა შურის სტამეს. და ხორცი ოქროს ტახტიკითა მოხარულელი მოიტანეს.

76. ზადლანტანს ხორცი ატამეს ოდენ სიტყვითა ნასითა, დვინო ოქროს კაკითა, იანგუდისა თასითა. ისწავლა ჭამა კაცურად არ საუბრითა ასითა და შეიგნო საქმე კაცური, ხორცსა სტკრის ის აღმასითა.

77. სცნა, თუ ჩვენ ვართ მამა ძენი, მან შეიგნა ზატრანობა. ტახტი დადგეს სვილოზედა, იახხადა მადლად ნობა მზარულენი გაუმართნენ, გზა-გზა იწყეს ნადრობა და მსეტი ნახეს თუ ფრინველი, არ ძალ ეღვათ ნავარდობა.

78. დადგინ კარგსა ადგილსა, კარვები ამართიანდა. წაად იგონებს, ვითა ვქნა, ნადრობა მოკლიანდა მამისა შეიღლსა მოზიდა, ეოდე არ ეძლიანდა და სროლა დაიწყო ისრისა მჭკრეტელნი შენატრანდა



79 მან დაისწავლა სახელი, ეკლესიის  
იყო მცნობელი.

ზაადის დედის წინაშე კაცზავნეს მახარობელი.  
სამ შესთვალა: ნუ სჭმუნავ მზე, ცათა მან-  
ობელი,  
და ხუდარ შემდური, მოგივა სეკედისა დამად-  
ნობელი.

80. ტან სარ და პირად მთვარე, ჭკბ მ-  
ხელი, ხვადი ღომი  
გზოვე ჩემგან დავარგული ფასკუნჯისა განად-  
ღომი.  
ვითა გმართებს, დამეზადე, და ხვადი, მზეო,  
ტახტზე მჯდომი,  
და შენ დაკაზმე დარბაზები, გაგვინთლდა  
ცათა სომი

81. სტან დედამან ზაადისმან გაუხსლდა  
სული გვამსა,  
მის კაცს მისცა საბოძვარი, უბძანებდა მოს-  
ტანსა  
იაგუნდით გაუტენა, პირით, ხელით კრეუდა  
ლადსა.  
და ესე საქმე გამოცხადდა, ეგუდას ესმა ზა-  
ულილსა

82 ფაღავანი მასვე წამსა შესხდეს, წინა  
მიეგებნეს.  
ჩამონდეს და თაყვანი სტეს, დალოციან, მას  
აქებდეს  
მუშე აზიარი გადაყარეს, წამოვიდეს, ცხენთა  
შესხდეს,  
და ჩამოვიდა ქალაქშიკა, აყრიდიან, ლადსა  
კრეუდეს.

83. ეობდიან მომდერადნი და მუტრიბნი  
ძლივ ეტინეს.  
პირმზე დედა მოეგება, ვით სარონი შეიხვი-  
ვნეს.  
თვალთა, პირთა აკონტებდა, სეკდა კაქრა, ჭირ-  
თა ივნეს  
და იგი აყვავდა ვით სამოთხე, ედემს შუქი  
მოეფინეს.

84. სტავრითა მოფარდაგულისა დარბაზს  
შევიდნენ მკლასნი,  
ფაღავანი და სადუმნი საეუროს კვირგინთ-  
სანი

არაფრა წინა მიუდგნენ სხვა მამოცხადებნი  
ხმოსანნი

და ბერძნულის ღარის კოეკი, მინები ზარ-  
ქამოსანი  
85. ვითა მართებს მხიარულთა, დამე ღხი-  
ნით გაითენეს,  
ესე საქმე ხელმწიფისა მანუხარსაც მოასხე-  
ნეს.

სამს შვილი მისცემია გასაგდებლად წაიფანეს  
და როდის იშვა, მ: შინათვე თმა ბამბასა დაუ-  
გვანეს.

86. იგი ფასკუნჯს გაუზრდა, პოვის წე-  
ლსა მკათესა.  
ტან-სარო და ღომ-ხაკეთი იგვარებდეს სი-  
კეთესა.  
კაცთა ენა არ შეესმის, პირ კავსილი კავს  
მთვარესა.  
და მანუხარსაც კაცხარდა, ბრძანა,— მიგზვდი  
სიამესა.

87. სამისებრივ ძალ-გულად სხვა არა და-  
ბადებულა.  
თუ იმის შვილი იმას კავს, დღეს ეტლი  
ამადლებულა.  
ერანის ტახტოსანთათვის საწუთთა განათლე-  
ბულა  
და ვისაც ვუფარვარ, იამოს, არგულნი შე-  
ძრწუნებულა.

88 ნავზარ იხმო: შვილო წადი, ვინცა  
გინდა წაიტანე.  
დიდი სამ მოიკითხე, ჩვენ მავიერ ეთაყვანე-  
შვილს პოვნა მიულოცე, ღმერთსა მადლი  
მასვე მონე.  
და ჩვენც ვნახოთ ფაღავანი, მადი, თან  
მოიფანე.

89. ფრინველთაცან განზარდი მოიფანე,  
სმათ ვისურვოთ.  
დაქარნიცა შეისწავლოს, ჩვენი მჭერეტი გა-  
ვაკვირნათ  
ჩვენ შეგვაზმოთ მათი საქმე, მეტად კარგად  
დავიფრვოთ.  
და ღხინი ვნახოთ, ვიადერსოთ, მტერი ვე-  
ღენ კავსილიფროთ.  
(შემდეგი იქნება.)

გამოვა 1911 წ. საგაფხვილო ჟურნალი

# ნაკადული

წელიწადი მეშვიდე

ხელას-მოწერა მიიღება ჟურნალ „ნაკადულის“ რედაქციაში.

გადავინის უნივერსიტეტს უბედულადის სსსდში № 8. და წერათხვის გამაგრც. სსსო-გაგადობის მდარხაში, თაფ.-აზნ. ქარვასდა)

1911 წლის 1-ლ იანვრიდან 1912 წლის 1-ლ იანვრამდე. წლიური ხელის-მომწერლებს მიეცემა: **24** წიგნი ჟურნალი ნაკადული მცირე წლოვანთათვის. **12** წიგნი ჟურნალი ნაკადული მოზრდილთათვის. **36** სურათი, რომელიც ნაკადულის წიგნის 1-ლ გვერდზე იქნება მოთავსებული.

ОТКРЫТА ПОДПИСКА на 1911 годъ  
на газету

## „Закавказская Рѣчь“

Годъ изданія третій.

Главная контора изданія проситъ гг. подписчиковъ записаться на газету своевременно, чтобы можно было во время заготовить печатные адреса.

### ПОДПИСНАЯ ЦѢНА

съ доставк. на домъ:	Въ Тифлисѣ	Въ провинц.
На годъ . . . . .	6 руб.—коп.	8 руб.—коп.
„ полгода . . . . .	3 руб. 50 коп.	4 р. 50 к.
„ 3 мѣсяца . . . . .	2 руб. — коп.	2 р. 25 к.
„ 1 мѣсяць . . . . .	— 70 коп.	— 75 к.

Подписка принимается въ Тифлисѣ, въ главной конторѣ газеты—на Эриванской площади, въ домѣ Харазовой, а также у всѣхъ казначеевъ и кассировъ казенныхъ и частныхъ учреждений—при чемъ казначей и кассиры получаютъ за труды 5 проц.

АДРЕСЪ: Тифлисъ, редакция газ. „Закавказская Рѣчь“ Эриванская площадь, домъ Харазовой.

Для телеграммъ: Тифлисъ, „Закавказская Рѣчь“

Редакторъ Р. Д. Бебиевъ.

Издатели: } П. А. Гогоу.  
                  } Кн. Г. I. Амраджиби.

Открыта подписка на 1911 годъ  
(XXXI-й годъ изданія)

на газету

## „Тифлисскій Листокъ“

Газета будетъ выходить ежедневно, кромѣ понедѣльниковъ и дней послѣпраздничныхъ

**Подписная цѣна:** съ доставкой въ Тифлисѣ: На годъ—5 р., на 6 мѣс.—3 р., на 3 мѣс.—1 р. 75 к. Съ пересилкой для иногородныхъ: На годъ—7 р., на 6 мѣс.—4 р., на 3 мѣс.—2 р. 50 к.

დაიბეჭდა და ამ მოკლე ხანში გამოვა  
ი. გ რ ი შ ა შ ვ ი ლ ი ს  
ლექსები.

## „ოცნების კოცნა“

გამოცემა ამხ. „სორაპნისა“. წიგნი შეიცავს 32 გვ. და ღირს 10 კაპ.

# „ს ა ხ ა ლ ხ ო გ ა ზ ე თ ი“

წელიწადა მეორე

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო  
ყოველდღიურ გამოცემის გარდა გაზეთს ექმნება კვირეული

## ს უ რ ა თ ე ბ ი ა ნ ი დ ა მ ა ტ ე ბ ა

დამატება გამოვა კვირაობით


გაზეთის ფასი დამატებინად: წლით, როგორც ქალაქში, ისე ქალაქ გარეთ ღირს  
8 მან. 50 კაპ., ნახევარი წლით—4 მან. 80 კაპ., ერთი თვით—80 კაპ.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური, დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკი.  
ადრესის გამოსაცვლელი ფასი 40 კაპ.

განაწილება ფასისა: მოწერის დროს 3 მან., 1 მარტისთვის 2 მან., 1 მაისისთვის  
2 მან. და 1 ივლისისთვის 1 მან. 50 კ.

რედაქცია ღიაა 9—7 საათ.

Тифлисъ, редакція „Сахалхо газети“.



მიიღება ხელის მოწერა 1911 წლისათვის

ამკენიერო—ჰედაგვაგიურს და სალიტერატურო ჟურნალ

## „გ ა ნ ა თ ლ ე ბ ა ჯ ა“

(წელიწადა მეოთხე)

ჟურნალი გამოვა ყოველ თვეში, გარდა ზაფხულის ორის თვისა, იმავე პრო-  
გრამით, როგორც ამდენხანს გამოდიოდა. ჟურნალი წლიურად ღირს გაგზავნით  
ხამი მანეთი, ნახევარი წლით 2 მანეთი. სოფლის მასწავლებელთათვის წლიურად  
2 მანეთი. ცალკე ნომრები გასასყიდად არსად არ გაიგზავნება. დაიბეჭდება იმ-  
დენი ცალი, რამდენიც ხელის მოწერნი იქნებიან. ხელის მოწერა მიიღება ტფი-  
ლისში „წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში ივანე ავალიშვილთან  
და „ნაკადულის“ რედაქციაში, პროვინციებში კერძო აგენტებთან.

მისამართი: Тифлисъ Дворянская Грузинская гимназія Луарсабу  
Герасимовичу Боцвадзе

რედაქტორ-გამომცემელი

თავ. ნ. მ. ლორთქიფანიძე.